140/3
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

10
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებო, ჟურნალის ამ ნომერში [illegible] ნარკვევი ერთხელ კიდევ გაგახსენებთ პიონერულ ქალაქ მზიანეთს. აი, რამდენიმე ფოტო მზიანეთელების საინტერესო ცხოვრებიდან: გოგონები კარვებს შუა გაჭიმულ თოკზე ჰკიდებენ სარეცხს, ფოტო-მოყვარულები ნეძურას ულამაზეს ხეობას უმიზნებენ აპარატს, ნორჩი ელექტრომონტიორები ქალაქის განათებაზე ზრუნავენ, მზიანეთი ყოველდღე უსმენდა გადაცემებს საკუთარი რადიოკვანძიდან და რომელი ერთ ჩამოვთვალოთ, რაც ასე ალამაზებდა მზიანეთელთა პიონერული ზაფხულის დღეებს.









ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

10

ოქტომბერი

1959

გამოცემის წელი XXXIII

7727

## შინაარსი



ნაზი კილასონია—ეს ქალაქი ვისია (ნარკვევი) . 2
კარლო კოზერიძე—კახეთის თუ ქართლის გზაზე (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . . 6
თენგიზ გოგოლაძე—ილიას დროშა (მოთხრობა) . 6
ზურაბ ლეშკაშელი—აქვს თუ არა საზღვარი რეკორდებს . . . . . . . . . . . . . . . . 11
სიმონ სხირტლაძე—დიდი ქართველი მეიგავე (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . 12
სულხან-საბა ორბელიანი არაკები . . . . . . . 14
გიორგი გელაშვილი—თორმეტი ქვეყნის დროშა ფრიალებდა (წერილი). . . . . . . . . . . . . 16
ვლადიმერ უნაფქოშვილი— ფუტკრის გონიერება (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . 17
ანა ხახუტაშვილი — ძველი თბილისის კუნჭული (მოთხრობა) . . . . . . . . . . . . . . . . 18
ტექნიკის სამყაროში . . . . . . . . . . 20
დიმიტრი მირიანაშვილი—შეხვედრა (მოთხრობა) . 21
ბუნების კარი . . . . . . . . . . . . . . 25
ფილიპ დელ კრიდი—უჩვეულო ძიძა (მოთხრობა. თარგმანი თ. სახაროვისა) . . . . . . . 26
ვახტანგ სიდამონიძე—კლდეში ნაკვეთი ქალაქი (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . 29
რევაზ ნინუა—დაეხმარე უფროსებს საოჯახო საქმეებში . . . . . . . . . . . . . . . . . 31
თავისუფალ დროს . . . . . . . . . . . . 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . . 32







გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის **რევაზ ცუცქირიძეს**; გარეკანის მესამე გვერდზე „იუმორი“ ნახატები **ე. ამბოკაძისა.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **გ. თოთიბაძის, დ. ხახუტაშვილის, თ. სამსონაძის, ნ. შალიკაშვილისა** და **გ. ფოცხიშვილის** მიერ.



რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ქალაქი ვისია..?

**მზიანეთი ნამდვილი ქალაქია**

ამ არაჩვეულებრივი ქალაქის მზიანეთის შესახებ უკვე დიდი ხანია რაც ლაპარაკობენ მას ხომ ჩვენი რესპუბლიკის 18 ათასი პიონერი აშენებდა! და აი. დადგა ნანატრი დღე 10 აგვისტო. ხუთასმა საუკეთესო მშენებელმა მიიღო მზიანეთის პასპორტი და ამ ნანატრი ქალაქის მცხოვრები გახდა. არსად. არცერთ რუკაზე არაა აღნიშნული მზიანეთი და მაინც იგი ნამდვილი ქალაქია. უფრო მეტიც: ჩვენ არ გვეგულება სხვა ასეთი მზიანი. მღელვარე და საინტერესო ქალაქი.

იქნებ გგონიათ. რომ მზიანეთშიც ჩვეულებრივი; მკვიდრი შენობებია აგებული? არა, აქ მხოლოდ კარვებია, ტყიან ბექობზე გადაჭიმული კარვები. ისინი მზიანეთელებმა საკუთარი ხელით გაშალეს. თანაც ისე სწორ,ხაზოვნად. რომ ქუჩები მათ შორის ლარივითაა გაყვანილი. ვთქვათ. მზიანეთში ბარათის გაგზავნა გსურთ. აუცილებლად უნდა იცოდეთ ქუჩის სახელი. კარვის ნომერი. ქუჩას კი მზიანეთში რა გამოლევს. მერე. რა კარგი სახელები აქვთ: მშენებელთა პროსპექტი. თანამგზავრის ქუჩა, ბორის ძნელაძის ქუჩა, მეგობრობის ქუჩა. პავლიკ მოროზოვის, ვალენტინ კოტიკის, თუ მოსკოვის ქუჩა. მთელმა საქართველომ იცოდა. რომ მზიანეთი ბორჯომის ხეობაში. ახალდაბის მახლობლად შენდებოდა. ამიტომაც სტუმარი არ დაჰკლებია პიონერულ ქალაქს. მაგრამ ხუმრობა არ გეგონოთ ეს სტუმრობა. უპირველეს ყოვლისა ქალაქის საბჭოში უნდა გამოცხადდეს სტუმარი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. ქუთაისელი პიონერი ალეკო ქარსელაძე მეტად გულისხმიერი. თავაზიანი და თავმდაბალი ამხანაგია. იგი. უპირველეს ყოვლისა პასპორტს შეგივსებთ, ხოლო შემდეგ თქვენი საცხოვრებელი ბინის შესახებ დაიწყებს ზრუნვას. ასე გასინჯეთ. ლოგინსა და ზეწრებსაც თავად მოგირბენინებთ. მოდი და ნუ შეაქებ. მზიანეთელები სიამაყით დაგათვალიერებინებენ ქალაქის ზოოპარკს, „ძია გიგოს“ მოედანს, „კაჟია ილეთელის“ მოედანს. ტურისტულ სადგურს. საყოფაცხოვრებო კომბინატს. ჯანმრთელობისა და კულტურის განყოფილებებს.

მზიანეთელებს საკუთარი ფორმა აქვთ.- ესაა ხელოსნის, მშენებლის კომბინეზონი. მზიანეთელებს საკუთარი თეატრი აქვთ, ესაა მწვანე თეატრი. უნდა ნახოთ, რა სიამოვნებით უსმენენ მზიანეთელები თავიანთი მოცეკვავეებისა და მომღერლების გამოსვლას. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქალაქს არც სასულე ორკესტრი აკლია. ამაში კი თავი ზუგდიდელმა პიონერებმა გამოიჩინეს.

ის რაღა ქალაქი იქნება, თუ გაზეთი არ მოსდებს ახალ-ახალ ამბებს უბნებსა და ქუჩებს. მზიანეთი არც ამაში უგდებს ცალს სხვა ქალაქებს: სწორედ ნაძვნარის პირზე, ერთ მოზრდილ კარავთან ასეთი წარწერაა აღმართული: გაზეთ „მზიანეთის" რედაქცია. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ათასი საინტერესო ამბავი ხდება ყოველდღე მზიანეთში— სპარტაკიადა, ოლიმპიადა, მწერლებთან შეხვედრა, ნორჩ ნატურალისტთა თუ ტექნიკოსთა მუშაობა, ტურისტული შეჯიბრი და ვინ მოსთვლის კიდევ რა. „მზიანეთის" რედაქციაში მოდიან ნორჩი კორესპონდენტები, ფოტო-კორესპონდენტები, მხატვრები. სხვა განყოფილებებშიაც დუღს სიცოცხლე: მზიანეთელებმა ტექნიკის განყოფილებაში გამოიყენეს თავიანთი ცოდნა და ბევრი რამ ახალიც შეიძინეს. რადიოქსელისა და ელექტროქსელის გაყვანა, კავშირგაბმულობა, კინოდანადგარი, უგამყიდველო მაღაზიის, ფოსტის, გამოფენის სტენდების მომზადება ხომ ნორჩ ტექნიკოსთა უშუალო მოვალეობა იყო. ამიტომაც სარგებლობდნენ საერთო სიყვარულით ტექნიკოსები: თბილისელი ვანო კასრაძე, თამაზ კვირიკაშვილი, ახალციხელი რევაზ ხაჭაპურიძე, თერჯოლელი იური მურადაშვილი, ზაპოროჟიელი ალა კოზლოვა, ერევნელი რაფიკ ოგანესიანი და მათი მეგობრები.



სვანი ბიჭუნა— დალოსტი.რატიანი დღეს მზიანეთის მოქალაქეა, მისმა ახალმა მეგობრებმა უკვე იციან, რა ლამაზია მწვერვალი უშბა, რა მაღალია სვანური კოშკები...



გამოდის გაზეთ «მზიანეთის» ახალი ნომერი, და ყველაზე ცხარე დღე მხატვრებს ადგათ.

მზიანეთი საერთოდ სიყვარულის მეგობრობის ქალაქია: აბა, ჰკითხეთ სვანეთის მაღალი მთებიდან ჩამოსულ ლანჩვალელ დალოსტი რატიანს, რამდენი ახალი მეგობარი შეიძინა თვით საქართველოს შორეული რაიონებიდან. აბა, შეხედეთ ერევნელ გოგონას კარინე სარქისიანის გახარებულ თვალებს— მან ხომ უკვე მოასწრო ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი თუ უკრაინელი მეგობრების შეძენა...

მზიანეთს უყვარს სიმღერა. აქ ი სანატრელი სტუმრებიც აიყოლიეს მზიანეთელებმა და ლხინის ფერხულში ჩააბეს: ბავშვების საყვარელი პოეტი — ილია სიხარულიძე მზიანეთელებთან ერთად ცეკვავდა, ხოლო იოსებ გრიშაშვილმა ასეთი სტრიქონი ჩასწერა შთაბეჭდილების წიგნში: „ამ მზიანეთს ერთი ნაკლი აქვს -იგი ძალიან კარგია!"

### ფალავანი და... იზოლატორი

ხომ გახსოვთ კაჟია ილეთელი— გაზეთ „ნორჩი ლენინელის" გმირი? კაჟია მართლაც რომ კაჟივით ბიჭია!



გაცოცხლდნენ გაზეთ «ნორჩი ლენინელის» გმირები—ძია გოგო, მალხაზ ფხიზელი და კაჟია ილეთელი! ისინი მზიანეთელებთან ერთად ჩამოსხდნენ ხის მორებზე და «მწვანე თეატრის» ესტრადას მიაპყრეს მზერა.

ახლა კაჟია ილეთელის მოედნისათვის გადაგეხედათ! მართლაც რომ საინტერესო ასპარეზობა იყო გამართული. მზიანეთის მშენებლები იბრძოდნენ თავიანთი უბნებისა და ბრიგადების სპორტული სახელისათვის. ძალოსნობაში მზიანეთის პირველუბნელებმა ისახელეს თავი; ორენ-

--საუკეთესო ფიზკულტურელი. კაჟიამ „ნორჩი ლენინელის“ მკითხველებსაც შეაყვარა სპორტი. ეს განსაკუთრებით მზიანეთის მშენებლებზე ითქმის. ამიტომაც დაარქვეს მზიანეთელებმა თავიანთ სპორტულ მოედანს კაჟია ილეთელის სახელი. კაჟიამ მოუწოდა მშენებლებს ჩაბმულიყვნენ საქალაქო სპარტაკიადაში, შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სირბილსა და ხტომაში, შაშსა და ჭადრაკში. ყველა მზიანეთელი—ტურისტია, და აი, მშობლიურ ქალაქშიც უნდა გამოემჟღავნებინათ ტურისტული წრთობა. მეგობრები მზიანეთის ტურისტულ სადგურს მიადგნენ. სადგურის ნორჩმა ინსტრუქტორებმა თამაზ აბაშიძემ, თამაზ ლეჟავამ, გივი გელაძემ და მალხაზ ბაქანიძემ ქალაქის მცხოვრებნი ნორჩი ტურისტის ნიშანზე მოამზადეს. თამაშ-შეჯიბრებაში: „იარე აზიმუტით“, რომელიც გარემოში კომპასით ყაგნებისა და მოძრაობის უაღრესად აუცილებელ ჩვევებს ნერგავს, პირველი ხუთი ადგილი შემდეგმა მზიანეთელებმა აიღეს: ენვერ ლაგვილავამ, გივი არევაძემ, ჯუმბერ ქვარცხავამ, გივი მიხრაშვილმა და ვასილ ბერიძემ.



გოგი კახაბრიშვილმა გადაწყვიტა მზიანეთიდან სამახსოვროდ ნორჩი ნატურალისტების—ცისანა ყალიჩავასა და მზია ლოსანის სურათი წაეღო.



კარგია როცა კარვიდან საკუთარი ხელით გაკეთებული ტელეფონით ელაპარაკები ახალ მეგობარს.

ბურთში — მეორეუბნელებმა. საუკეთესო მზიანეთელი სპორტსმენების სახელი მოედო ქალაქს: ლიანა ჩიქოვანი, ნელი ბასიაშვილი, ლამარა თავართქილაძე, იაკობ ხუჭუა, ნუგზარ ნემსიწვერიძე, ალექსი ხუბულავა, ტარიელ ჯღარკავა, როზა სამაილოვა და მანანა ნაცვლიშვილი იმ დღეს ყველას პირზე ეკერა. იბრძოდნენ მზიანეთელი ფალავნებიც. გორის რაიონის ქვემონიქოზელმა პიონერმა ზურა ლომსაძემ მოწინააღმდეგე „ბეჭებზე დააწვინა“. დააწვინა, მაგრამ თავადაც მკლავი იღრძო... შეწუხდნენ მზიანეთელები. ნორჩი სანიტრები თავს დასტრიალებდნენ ბიჭუნას. ზურას პირველი დახმარება გაუწიეს და... იზოლატორში მოათავსეს. მზიანეთელებმა მხოლოდ მაშინ დაიმშვიდეს გული, როდესაც ზურა რადიოსტუდიიდან დაელაპარაკა მზიანეთს და გულშემატკივრებს აღუთქვა — მალე კარგად გავხდები და „მტერს“ არ გავახარებო!

**გაისამდე, მზიანეთო!**

რა სჯობს ასე მღელვარედ გატარებულ ზაფხულს. მაგრამ ხომ მოვა დღეც, როცა უნდა დაემშვიდობო ატეხილ ტყეებს, ცხრათვალა მზეს, კარვის კალთებზე წვიმის წკრიალს, ახლადშეძენილ მეგობრებს? ასეთი დღე დადგა მზიანეთშიც... მშენებლებმა გადაწყვიტეს სევდიანად არ ჩაექინდრათ თავი და პირიქით, განშორების დღე ზეიმით აღენიშნათ, ემღერათ, ეცეკვათ, უფრო ლამაზად მოერთოთ თავიანთი კარვები, ქუჩები, უბნები. მინდვრის ყვავილებით შეამკეს მთელი ქალაქი.

მაგრამ ეს კი აღარ იცოდნენ მეგობრებმა, რომ სულ მოულოდნელი

ზუგდიდელი პიონერები საკუთარი სახელე ორკესტრით ჩამოვიდნენ მზიანეთში.





მზიანეთს უყვარს სიმღერა. ხშირად გაიგონებთ ჰანგებს პიონერულ ახალშენზე მეგობრობაზე ბედნიერ დღეებზე...

ამბავი ელოდათ წინ: გაცოცხლდნენ „ნორჩი ლენინელის“ გმირები: ძია გიგო, მალხაზ ფხიზელი, კაჟია ილეთელი! ისინი გამოსათხოვარ დღეს ესტუმრნენ მზიანეთელებს. რა ჟრიამული იდგა, როგორ შემოეხვივნენ მშენებლები საყვარელ მეგობრებს. ძია გიგომ, მალხაზმა და კაჟიამ ქების სიგელებით დააჯილდოვეს გამოჩენილი მზიანეთელები. ბავშვები სიყვარულით შესცქეროდნენ მათ და არავის უფიქრია, რომ სამივე გმირს სულ ერთი საათის წინ უკეთებდნენ უფროსები გრიმს... მზიანეთელებმა თავიანთი თვითშემოქმედება უჩვენეს საპატიო სტუმრებს. დიდხანს წკრიალებდა სიმღერა „გაუმარჯოს მზიანეთს“. მშენებლების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ვარდოსანიძემ აღუთქვეს, რომ გაისს ამ დროს მზიანეთი კვლავ ახმაურდება.

მაშ, გაისამდე, მზიანეთო!

**ნ. კილასონია**

**ფოტო კ. ვაჩიბერიძისა**

სუმრობა ხომ არ არის — პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა საკუთარი ხელით ჩაგიწერ როს მზიანეთელის ბლოკნოტში ლექსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კახეთის თუ ქართლის გზაზე

არც ზღაპარი, არც იგავი,
ეს ნამდვილი გახლავს,
რასაც ახლა შენ კითხულობ
და სხვა ისმენს ახლა:
კახეთის თუ ქართლის გზაზე,
მცხეთაში თუ თელავს,—
მუდამ ჩვენი გაზაფხული
და ვარდობა ელავს.
ყველგან გვხვდება ციხე-კოშკი
და ტაძარიც ყველგან,
ყველა ჩვენი ისტორიის
სადიდებელს ყვება.
ზოგი ათი საუკუნე
დგას მერჯად და მხნედა...
ალბათ, იყავ მეამთაში,
ალბათ, ნახე მცხეთაც,
და კედლებზე წარწერები,
შენც ჩუმსავით გიკვირს:
„ვინახულეთ, მოგვეწონა,
ნუკზარი და გიგი“.
მარჯვნივ ერთი წარწერაა,
უამრავი მარცხნივ;
სხვა კედელზე ნახატია,
ნახშირით და ცარცით...
ახლა, ამ ლექსს რომ კითხულობ,
შენც დაჯდაბნე იქნებ
და სახელიც სიამაყით
მიაწერე იქვე.
დაჯღაბნე და ერთხელ მაინც,
არ დაფიქრდი წუთით:
იქნებ მართლა გიწერია:
—ისტორია—ხუთი...
იქნებ გქვია პიონერიც
და ამაყად დახვალ...
იცოდე და დაიხსომე
რასაც გეტყვი ახლა:
ყველგან გვხვდება ციხე-კოშკი
და ტაძარიც ყველგან,
ყველა ჩვენი ისტორიის
სადიდებელს ყვება.
საქართველოს სიყვარულში
ჩვენც წინაპრებს მივყვეთ...
ის ვიკმაროთ, რაც დუშმანმა
დაგვქცია რიყეს!

კარლო კობერიძე

**თენგიზ გოგოლაძე**

ნახ. გ. თოთიბაძისა

(მოთხრობა)

მუხრანის ველსა და არაგვისპირა ჭალებს რიყრაყის მტრედისფერი ნისლი ებურა. სოფელი დაბლა იყო შეფენილი. აღმართზე საურმე გზა ადიოდა. გზა ილიას კარმიდამოსთან თავდებოდა.

კარგი სანახავი იყო მთის კალთაზე ვენახი, იმას იქით ბაღი და ამ ბაღის თავში მაღალი, ფართო აივნიანი სახლი. გარშემო კაკლები ებურა. მაგრამ საიდან არ მოჩანდა მისი მაღალი, ზემოსართულის აივანი და წითლად შეღებილი თუნუქის სახურავი.

ნისლი თანდათან იცრიცებოდა. ქვეყანა ილვიძებდა. ტყეში ფრინველები გუნდ-გუნდად აჟივჟივდნენ. სოფელში მამლები ყივილით ღობეებზე შეცვივდნენ.

გლეხკაცობა ამ დროს უკვე ფეხზე იდგა. ფრინველსაც აასწრო, მზესაც აასწრო, ადრე ადგომით დღე გაიდიდა, რომ მის გაჭირვებულ ყოფას რაიმე შველებოდა.

შარაზე შავჩოხიანი ბიჭი მიდიოდა. სახრეზე ტოპრაკი ჩამოეკიდნა და ზურგზე გაედო. წინდაში შარვლის ტოტი ჩაეტანებინა, ფეხზე ქალამანი ეცვა. ჩოხაშარვალი ძველი ჰქონდა, ალაგ-ალაგ ხუფთად და ლამაზად დაკერებული. ქოჩორა თავზე ნაბდის ქუდი ეხურა. ეს ბიჭი მეხბორე სანდრო იყო, გლეხკაც ზაქარა ლაბაურის შვილი და იმედი.

ირიჟრაჟებდა თუ არა, სანდრო უკვე გამოვიდოდა შარაზე. უწინ ილიას სახლისაკენ გაიხედავდა და, თუ მაღალ აივანზე სამფეროვან დროშას ვერ შენიშნავდა დაღონდებოდა. მაგრამ აბა გენახათ, როგორი ფრთა გამოესხმებოდა ბიჭს, როცა დროშას დაინახავდა.

ამ დილას კი დროშა არ ჩანდა. კარგა ხანი იყო გასული მას აქეთ, როცა უკანასკნელად ჩამოვიდა ილია საგურამოში. ილიაობა კი ახლოვდებოდა...

არა, დღეს უთუოდ უნდა ნახოს სანდრომ ილიას მეფუტკრე რუსი დანიელი და ჰკითხოს, რატომ არ ჩამოდის ბატონი.

ბევრი მსახური ტრიალებდა ჭავჭავაძის კარზე, მაგრამ ეს მეფუტკრე მასლოვი, რომელიც ქართულს ძლივს ამტვრევს, სულში ჩაუდგა სანდროს. „დრასტი, ძია დანიელაო“ შეხძახებს ხოლმე, თუ კი სადმე შეასწრებს თვალს და მეფუტკრეც კეთილის ღიმილით უპასუხებს: „გამარჯობა, კარგი კაცო“.

ნისლი თანდათან მაღლა იწევდა, მტრედისფერი ცა მუქდებოდა, ლურჯდებოდა და აღმოსავლეთით მზით გაჩაღებული ხანძარი უფრო და უფრო ენთებოდა.

ცხენის ფლოქვების თქარა-თქური მოესმა სანდროს. მიიხედა გზაზე. ჭავჭავაძის მოურავს, დიმიტრი ჯაშს, ოთხით მოჰყავდა ქურანა ცხენი. შარაზე ბუქი ავარდნილიყო.

არ უყვარდა ამ კაცის დანახვა სანდროს. პირადად მისთვის არაფერი დაუშავებია მოურავს, მაგრამ მშიერ ტურასავით რომ დაერეოდა ხოლმე გლეხებს და სულს უმწარებდა, ეს თვალში არ მოსდიოდა სანდროს. მოურავისაგან გულნატკენი გლეხები თავადის სახლს მიაშურებდნენ, მოწიწებით შევიდოდნენ ილიასეულ კარმიდამოში და საჩივრებს გადმოალაგებდნენ. მათაც ისევე ახარებდათ სამფეროვანი დროშის დანახვა, როგორც სანდროს...

მაგრამ დღეს დაღონებულია ბიჭი. მოურავმა ლამის ცხენით გათქერა ყმაწვილი.

სანდრომ დაინახა, როგორ გადმოხტა გაქანებულ ცხენიდან დიმიტრი ჯაში... მოურავმა ალვირი ღობის მარგილზე გამოაბა და წამსვე დანიელს მიაშურა.

უამრავი ფუტკარი ზუზუნებდა ეზოს გადაღმა



ყვავილებით აჭრელებულ ველზე. ჭავჭავაძის სკის ფუტკარი მთელ საგურამოს მოსდებოდა და გლეხკაცებთან ერთად აგროვებდა დოვლათს.

სანდრო გაიძურწა, რომ კვლავ არ შეჰყროდა დიმიტრის. მალე მენახირე შიოსთან ერთად ბოსელში შევიდა და ხბოები გამოლალა; შიომ კი ხარ-ძროხა გაირეკა ზანტად. ხბორები კუნტრუშით გაცვივდნენ შემოღობილიდან და არაგვისპირა ჭალისაკენ დაეშვნენ, სადაც ნორჩი, ცვრიანი ნეკერი ელოდათ.

საქონელი ნერგიანში ჩარეკა. ბიჭი არაგვისპირას განმარტოვდა. ასეთ დროს, ვინ იცის, რა სანატრელსა და ზღაპრულს არ წარმოიდგენდა ხოლმე მისი გონება. ზოგჯერ წამოწვებოდა და კრიალა ცას მიაპყრობდა თვალებს, სადაც ქულა ღრუბლები ზანტად მოიგრაგნებოდნენ. ამ უსასრულო სამყაროს ხილვა მუდამ ანცვიფრებდა პატარა მენახირეს.

პურთან და ხახვთან ერთად სანდროს ტოპრაკში წიგნი იდო. ეს წიგნი ილიას მეუღლემ, ოლღამ აჩუქა მას. მოცალეობის ჟამს დიდი ქალბატონი გვერდით მოისვამდა ხოლმე ლაბაურის ბიჭს და გულდასმით ასწავლიდა ანბანს. სანდრომ მალე გაიტეხა ენა და ახლა უკვე დამარცვლით კითხულობდა „დედა-ენას“.

ხბორები ბალახობდნენ. სანდრომ წიგნი გადაშალა. ბიჭს უზომოდ უხაროდა, როცა მარცვალ-მარცვალ ამოკითხული ასოები უცებ შეიკვრებოდნენ და რაღაცას იტყოდნენ.

— ე წიგნს რომ დაატარებ, ბიჭო რომელი ბლაღოჩინი შენ უნდა გამოხვიდე!—უთხრა ერთხელ მენახირე

შიომ სანდროს,—მე ნახირში დავბერდი და შენც აქ ამოგძვრება სული...

გულუბრყვილო სანდრომ არ იწყინა მენახირის სიტყვები, თვალები აუწყლიანდა და მიუგო:

— კნეინამ მითხრა, გამოგადგება, ისწავლეო. ბატონსაც რამდენჯერ უთქვამს, სულ ნახირში ხომ არ იქნებაო... იმათ უფრო არ იციან?!

ამას წინათ იყო: ილიას ლექსი ზეპირად ისწავლა სანდრომ. საგურამოში თბილისიდან ერთი ახალგაზრდა სტუმარი ეწვია ილიას. გაზაფხული იყო. სტუმარი ჭავჭავაძის აივანზე გადმოდგა, ერთ ხანს ილიასთან ერთად მდუმარედ გაჰყურებდა არაგვისპირა ქალებს, მერე გულზე ხელი მიიდო და მგრძნობიარედ წარმოსთქვა:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ, მერცხალიც ჰსჭყივის...

პატარა მენახირეს კაკლის ძირში მოერთხა ფეხი და სულგანაბული ისმენდა. სულ სიტყვა-სიტყვით დაიჭირა ლექსი.

ერთხელ, ნახირიდან შინ გვიან მობრუნებული სანდრო მამას ჩამოუჯდა და უთხრა:

— მამი, აი, მე რომ ლექსი ვიცი ჩვენი ბატონისა...

— ჰო, მერე?

— იმ ლექსში რო ამბობს, ტყემ მოისხა ფოთოლი ბაღში ვაზი ლხენითა ტირისო, მდელოც აყვავებულა, და მთებიცო... განა ეს მამული არ არის?

— მამულია, მაშ, რა... ეს მთა, ეს ბარიც მამულია, მაშა!

— მერე და, თუ აყვავებულია, რაღად ამბობს, როდის აყვავდებაო?

— აბა, რა ვიცი. ალბათ შეშლია, შვილო...

გონიერ ყმაწვილს დიდხანს აწვალებდა პოეტის ეს „შეცდომა“. ერთხელ ველარ მოითმინა და დიდ ქალბატონს უთხრა. ამ დროს ილიაც იქვე იმყოფებოდა და მოსაუბრეთ მიუახლოვდა.

— ილია,—მიმართა მეუღლემ ჭავჭავაძეს,—ეს ბალღი გონიერია და ცოდოა ხბორები მწყემსოს. იცი რას მეკითხება?

— რაო, რას ამბობს?

ოლღამ გადასცა სანდროს ნათქვამი. ილიას გაეღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— შენ მართლა ჰკვიანი ბიჭი ყოფილხარ. აი, ჩემო კარგო, დაფიქრდი: ყველაფერი ჰყვავის, ყველაფერს უხარიან, მაგრამ ჩემი ხალხი, აი, თქვენ, ვინც ევლებით და აყვავებთ ამ მიწა-წყალს, ცუდად ცხოვრობთ. განა არა?

ბიჭი შეიშმუშნა.

— შენ რომ ახლა სკოლაში დაიარებოდე, ხომ კარგი იქნებოდა?

სანდრო ხმას არ იღებდა, თავი უსიტყვოდ დაუქნია ილიას და თვალებში შეხედა.

— ჩემი ხალხიც მინდა რომ ჰყვაოდეს, შვილო, ჩემს ხალხსაც მინდა რომ უხაროდეს და მეტის ლხენითა ცრემლი სდიოდეს...

* * *

რამხელა დღე იყო!

ნისლი გაიფანტა, გაიწმინდა ცის კარედი. შორეთი კი ისევ ნისლში გახვეულიყო. მალე მზვარეში გაითანგა ყველაფერი და ქვეყანა თონეს დაემსგავსა, სადაც ხილი და ყანა ცხვებოდა.

ნაშუადღევს ძლიერ ჩამოცხა. ბიჭმა წიგნი დახურა და არაგვში გადაეშვა. ხბორებს დრუნჩები ჩაეყოთ წყალში, გრილდებოდნენ. სანდრომ გასწუწა ხბორები, მერე ჩრდილისკენ გამოლალა, წიწამურის ტყეში აიყვანა და საღამომდე იქ აბალახა.

მზე ჩავიდა. ბიჭმა ხბორები შინისკენ გამორეკა. მცხეთა-საგურამოს გზას რომ მიაღწია, ეტლის ბორბლების და ცხენის ფლოქვების თქარა-თქური შემოესმა. გახედა. ილიას ეტლი ეგონა და გული უცებ სიამით აევსო. მაგრამ როცა ეტლმა ჩაუქროლა, შიგ ვიღაც გაბღენძილი ჩინოვნიკი და ხმლიანი სამხედრო პირი დაინახა. ეტლი საგურამოში მიდიოდა. ჩვეულებრივ ასეთი ხალხი ილიასთან მიდიოდა ხოლმე სტუმრად. სანდროს გაუკვირდა, ახლა ვისთან მიდიან, მასპინძელი რომ შინ არ არისო? ნამდვილად ჩამოვიდა და სტუმრებიც მოიწვია.

სანდრომ სახრე მოუქნია ხბორებს და ეტლს გამოუყენა. ეტლი მტვერს აყენებდა. ბიჭი ამას აინუნშიც არ აგდებდა. ხბორებს მიაჩქარებდა ყიჟინით.

ეტლს მალე ჩამორჩა.

კარგად იყო დაბინდებული, როცა სანდრომ ხბორებით სოფელს მიაღწია.

ამ დროს შორიდან კარგად არ მოჩანდა ილიას სახლის აივანი.

დაღონებულმა სანდრომ ბოსელში შელალა ხბორები და საფუტკრეში გამოიარა, რომ დანიელი ენახა, მაგრამ მეფუტკრის სახლი გადარაზული დახვდა

ბიჭი დაღმართზე დაეშვა და უხალისოდ გასწია შინისკენ.

* * *

კვლავ მშვენიერი დილა თენდებოდა საგურამოში

დილით, ჩვეულებრივ, შარაგზაზე გამოვიდა პატარა მეხბორე და ჭავჭავაძიანთ მამულისკენ გაიხედა. გაიხედა და გულში ცისკარი ჩაუდგა.

ილიას სამფეროვანი დროშა აივანზე ეკიდა.

„ჩამოსულა“—გაიფიქრა ლაბაურის ბიჭმა და აჩქარებით შეუყვა აღმართს, სულმოუთქმელად მიაღწია ილიას კარმიდამომდე და, ჭიშკარს რომ გაუსწორდა, ეზოში გადაიხედა.

ილია ხეივანში დასეირნობდა. ეტყობა წუხელ გვიან ჩამოსულა. ადრე ადგომას ჩვეულს ამ დილითაც დაუსწრია მზისთვის. თავისი განუშორებელი შავფუნჯიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



წითელი ქუდი ეხურა, გულხელი დაეკრიფა და ასე დადიოდა. ბოლოს შედგა. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გააყოლა თვალი მიდამოს. ანაზდად ჭიშკართან სანდრო შენიშნა. სანდრომ მაშინვე მოიშვლიპა ქუდი და თავი დაუკრა.

— მოდი ჩემთან,—დაუძახა ილიამ.

სანდროსაც ეს უნდოდა. მაშინვე მოწყდა ადგილიდან. შორიახლო გაჩერდა და თავი კიდევ ერთხელ დაუკრა ილიას.

— ახლო მოდი. მე შენ ერთი წიგნი უნდა გაჩუქო. აბა, შენ იცი, გულდასმით წაიკითხე და შენი აზრი მითხარი. თუ რამე შეცდომა მიპოვნო, არ დამიმალო,— იხუმრა ილიამ, გაიღიმა. თავზე ხელი გადაუსვა სანდროს, მერე შინამოსამსახურე მოიხმო და დაავალა, წიგნი ჩამოეტანა.

ილიამ სოფლის ახალ ამბებზე გაუბა საუბარი პატარა მენახირეს. სახეზე ემჩნეოდა, მეტისმეტად სიამოვნებდა ყმაწვილის პასუხი. მერე დედ-მამის და ოჯახის ამბავი გამოჰკითხა. დაალონა წვრილშვილიანი ლაბაურის გაჭირვებამ. დაჰპირდა, მოურავს ვეტყვი, ხორბალი და სხვა რამ ხანოვაგე მოგაშველონო, შენ კი ბეჯითობას თუ არ მოიშლი, ქალაქად გაგაგზავნი სასწავლებლადო.

ამასობაში მოსამსახურეც დაბრუნდა, ერთი პატარა წიგნაკი გადასცა ილიას.

— აჰა, ჩემო სანდრო.

ილიამ წიგნი გაუწოდა ლოყებაწითლებულ ბიჭს, რომელსაც წყლიანი თვალები ჰქონდა და მოეჩვენა, ბიჭი სიხარულისგან ტირისო. მართლაც ტიროდა სანდრო, უხმოდ, უცრემლოდ, გრძნობით...

* * *

ბედნიერი იყო დღეს სანდრო, მხიარულად მიჰყვებოდა გზაშარას და მიერეკებოდა ხბორებს.

ფიქრში გართულს უეცრად გული შეუქანდა.

— ეი, შენ, მუტრუკო! — დაუღრიალა ვილაცამ,— ე მაგ, ხბორებს რაზე ხოცავ!..

ყანისპირას მოურავი იდგა და თვალებს აბრიალებდა.

გველნაკბენივით შეცბა ხანდრო, ტკბილი ფიქრი და ოცნება უცებ გაუქრა, გულზე მოურავის შხამიანი თვალების ისარი დაესო.

კიდევ ერთხელ დაუტატანა მოურავმა, ყიამყრალად შეაგინა და ზურგი უქცია მეხბორეს.

მოურავისგან მიყენებულმა წყენამ მალე გაუარა. როგორც კი ნერგიანში ჩავიდა და ხბორები ბალახზე მიუშვა, ერთ ხისძირას ჩამოჯდა და წიგნი გაშალა.

„კაკო ყაჩაღი“... მარცვალ-მარცვალ ამოკენკა სიტყვები. სათაური მოეწონა, საგმირო რამ ამბავი იქნებაო,—გაიხარა ყმაწვილმა.

არც კი ახსოვს როგორ წავიდა ბურანში, როგორ დაავიწყდა ყველაფერი. გვიან გამოერკვა.

ოჰო, მზე რამდენზე წამოსულა! ხბორები სადღა არიან?

შეცბა პატარა მენახირე. კაკოს და ზაქროს ყისმათით გაბრუებული ყმაწვილი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ხბორებს ვერსად მიაკვლია, ფერფურმა გადაჰკრა, გული ლამის გაუსკდა. ხან აღმა გაიქცა, ხან დაღმა დაუყვა, წიწამურის ტყემდე ირბინა, შამბნარებშიც კი ეძება, მაგრამ ამაოდ.

ტირილი დაიწყო, ვაიმეო, მოსთქვამდა გულამოსკვნით.

ბინდისას ძველ ადგილს დაუბრუნდა, სადაც პირველად მირეკა ხბორები. თავქვე დაეშვა და უცებ ნერგებთან თვალი მოჰკრა თავის ნახირს. სიხარულისაგან უფრო ატირდა ბიჭი.

ხბორებს ალბათ ქვეყანა მოევლოთ და საღამოს პატრონს მოაკითხეს.

ერთი ხბო მაინც აკლდა, ეს თვალდათვალ შეატყო სანდრომ. ახლა ამაზე შეუღონდა გული. სანაქებო მეხბორის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ახლა რას იტყოდნენ. რას იტყოდა ილია, რას იტყოდა ქალბატონი?

შინ გვიან მირეკა ნახირი.

აივანზე დროშა ჩამოეხსნათ. ეტყობოდა თბილისს გამგზავრებულიყო ილია.

* * *

მთელი ღამე უძილოდ გაატარა სანდრომ. შფოთავდა, ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა და ზოგჯერ ჩუმად სტიროდა. ხვალ როგორღა გადაურჩება მოურავს!

სანამ სანდრო ბოსელში მივიდოდა, მოურავი გზად



ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოეყარა. მას უკვე გაეგო ხბოს დაკარგვა, შემკრთალ მენახირესათვის სიტყვაც არ უთქვამს, მაშინვე სილა შემოჰკრა და ბიჭს თვალი დაუბნელა. მეორე შემოკვრაზე სანდრო დაეცა. მოურავმა წიხლიც მიაყოლა.

— აღარ განახო ნახირთან!

სანდრო ერთ ხანს მიწაზე ეგდო. კარგად იყო გათენებული, როცა წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა. ფერდში მწარე ტკივილს გრძნობდა, სუნთქვა უჭირდა. ფარფატით წამოვიდა შინისკენ, სხვაგან აღარსად მიესვლებოდა.

* * *

მას შემდეგ ყოველ ცისმარე, ადრე ადგომას შეჩვეული ლაბაურის ბიჭი შარაზე მაინც გამოვიდოდა და ილიას კარმიდამოსკენ გაიხედავდა.

დროშა არ ჩანდა და არა.

სანდრო შინ იყო და კაკოს და ზაქროს ლექსს დასტრიალებდა.

— მამი, მამი...—ეუბნება ერთ დღეს გულჩათხრობილი სანდრო ზაქარას,—ასეთი ბოროტი ბატონები, ამ ლექსში როა, გაგონილა ქვეყანაზე? ბატონი ხო ისეთი უნდა იყოს, აი, ილია ბატონი როა? აქ კი ალბათ შეეშალა, მოურავი უნდა გამოეყვანა და ბატონი გამოუშვიდა.

— მანდ ყველაფერი რიგზეა, შვილო,—უთხრა მამამ, რომელიც კარგა ხანს უსმენდა წაკითხულ-ნაამბობს,—რა ენა და რა მიხვედრილობა აქვს მაგ დალოცვილსა. მერე, მერე, კიდევ წაიკითხე.

სალამო ხანი იყო. სანდრო კითხულობდა, ზაქარა კალათსა სწნავდა. ამ დღეს პოემის ბოლოს მარცვლიდა სანდრო. დაამთავრა, სული მოითქვა და მამას შეხედა, რომელიც შვილს მისჩერებოდა გაოგნებული.

— იქნებ რამე მოგცეს, კიდევ, შვილო.

— მე იმასთან როგორ მივალ, მამი! ხბო დავკარგე და რას მეტყვის!

— სთხოვე, გაპატიებს, ღვთისნიერი კაცია.

სანდრო გარეთ გამოვიდა და ჭავჭავაძიანთ სახლისკენ გაიხედა. შორს ცისფერ აივანზე, რომელსაც ჩამავალი მზის სხივები ელამუნებოდა, დროშა აღიმართა.

— ჩამოსულა!—გულის სიღრმიდან აღმოხდა სანდროს და სახეზე ნათელი მოეფინა.

* * *

მეორე დღესაც გამოფენილი იყო დროშა, მესამე, მეოთხე და მეხუთე დღესაც ფრიალებდა იგი.

ყმაწვილი ბორგავდა, ვერ ისვენებდა, ბატონის სახლთან მისვლა სწყუროდა, ფეხი ვერ მიედგა.

ერთ დღეს გაიგო სანდრომ, რომ ის დაკარგული ხბო ეპოვნათ. ამის შემდეგ, არ გასულა დიდი ხანი, ჭავჭავაძის კაცი ჩამოვიდა ლაბაურთან და სანდროს დაუძახა.

— ბატონი გიხმობს, ახლავე ამოვიდესო.

მართალია, ხბო იპოვნეს, მაგრამ სირცხვილი ბოჭავდა. ყმაწვილს სახეში შეეხედა ბატონისათვის. შინაურებმა ურჩიეს, დაუყოვნებლივ ხლებოდა ჭავჭავაძეს, შენზე კარგი თვალი უჭირავს და ნუ გააწბილებო.

— შენ წამომყე, მამი!

— აბა, მე რა მინდა? ბატონი შენ გიბარებს და ადი. მისი ნაცემი და გალანძღული კაცი ჯერ არ მინახავს და რაღა ამ ბალღს მოგდგება, ბიჭო! გასწი!

დავრდომილივით აითრია ფეხი ბიჭმა. უწინ თუ მერცხალივით მიჰქროდა ხოლმე ჭავჭავაძიანთ სახლისაკენ, ახლა მუხლები უთრთოდა.

ნაშუადღევი იყო.

როცა ჭავჭავაძიანთ ჭიშკარს მიუახლოვდა ლაბაურის ბიჭი, ილია ეზოში იდგა და გლეხს, გიგია მახარაშვილს რაღაცას ელაპარაკებოდა. ილიამ სანდრო დაინახა და უსიტყვოდ დაუქნია თავი, მოდიო. სანდროს გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა. ბატონს მიუახლოვდა ქუდი მოიხადა და თავი დაუკრა.

— გაგიმარჯოს, ჩემო სანდრო,—ტკბილად და მამაშვილურად უთხრა ილიამ და გაუღიმა კიდევაც.



სანდროს სიხარულის ფრთა გამოესხა და ცრემლი მოადგა თვალებში.

ილია ისევ მახარაშვილს მიუბრუნდა და დაწყებული სიტყვა გააგრძელა.

— ჩემო გიგია, მე ერთი უძირო და უშვილო კაცი ვარ, ერთ დღეს გადავბრუნდები და, ეს ყველაფერი თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს უნდა დარჩეს. თქვა ეს ილიამ და თავის მამულს მიხედ-მოხედა.

გიგიამ თავი აიღო.

— რას ამბობ, ბატონო?! შენი სიკვდილი ღმერთმა გვაშოროს! ჩვენ შენის იმედითა ვცოცხლობთ. შენისთანა ბატონი ნუ მოუშალოს გლეხსა გამჩენმა!

— ბატონი მაინც ბატონია, ჩემო გიგია... გლეხკაცი, მშრომელი კაცი თვითონ უნდა იყოს თავისი ბატონი... ეს დღეც მალე დადგება. შეიძლება შენ და მე ვერ მოვესწროთ, მაგრამ ეს ყმაწვილი კი უთუოდ მოესწრება.

-- შენს სიკვდილზე ნუღარ გამაგონებ რამეს, შენი კვნესამე! ღმერთმა ქნას: ყოველი სიკეთე გამრავლდეს ქვეყანაზე!—გიგიამ პირჯვარი გამოისახა, ხელით ნაბდის ქუდი მოსრისა, მერე ბატონს გამოემშვიდობა და წავიდა.

ილიამ ახლა სანდროსთვის მოიცალა.

— როგორ იყო, ხბო რომ დაკარგე, ბიჭო?—საყვედური რომ არ გამოსვლოდა, ილიამ თავზე გადაუსვა ხელი სანდროს. ბიჭი ალერსმა გაათამამა და სულ დაწვრილებით უამბო, როგორც მოუვიდა.

— ჩემი ბრალი ყოფილა,—თქვა ილიამ და ბიჭს თვალებში ჩახედა.—ახლა მე იმ ხბოს შენ გაჩუქებ და შემოდგომაზე ქალაქს წაგიყვან, სკოლაში გასწავლი... ხბორებში მართლა ცოდო ხარ, შვილო.

* * *

ქალაქში ჩასვლა მალე მოუწია ლაბაურის ბიჭს...

...აგვისტოს ბოლო დღეს შინამოსამსახურენი დილიდანვე ელოდნენ ილიას. ვილაცამ ამბავი ამოიტანა სოფელში: ბატონი მოდისო, და სამფეროვანი დროშაც აივანზე გამოჩნდა.

გული აუჩქროლდა სანდროს. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა სიხარული.

იმ დღეს წიწამურის გზაზე მოკლეს ილია.

საგურამოელი გლეხები თავ-პირში იშენდნენ ხელებს და სტიროდნენ.

. ყველაზე უფრო გულამოსკვნით პატარა სანდრო სტიროდა, გულში იკრავდა ილიას ნაჩუქარ წიგნებს და თვალთაგან მდუღარე სდიოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სოფლელებს ქალაქში ფეხდაფეხ გაჰყვა. ამდენი ხალხი და ამდენი ცრემლი არასოდეს ენახა სანდროს.

ილია მთაწმინდას მიაბარეს.

მეორე დღეს ლაბაურის ბიჭი გლეხებთან ერთად გულდათუთქული ბრუნდებოდა საგურამოში... მძიმედ და ხვნეშით ალიეს აღმართი... აგერ, ნაცნობი მაღალი სახლი, ცისფერი აივანი... სამფეროვანი დროშა!

ამის დანახვაზე სანდროს წამს დაავიწყდა მკაცრი სინამდვილე.

— შინ არი!—დარეკა გულმა.

ბიჭს თვალები წამოენთო.

შინ არიო, გულს დასტური მისცა.

# ვპასუხობთ შეკითხვებს



## აქვს თუ არა საზღვარი რეკორდებს

ბევრჯერ მომხდარა. რომ ესა თუ ის სპორტული რეკორდი ერთხმად გამოუცხადებიათ „ფენომენურად", „ზღაპრულად". „განუმეორებლად". მაგრამ ერთ-ორ წელიწადში ეს „განუმეორებელი" რეკორდი რამდენიმე სპორტსმენს გაუმეორებია ხოლმე. რაღა შორს წავიდეთ, სულ სამი წლის წინათ, როდესაც ამერიკელმა ძალოსანმა ანდერსონმა სამჭიდში 500 კილოგრამს მიაღწია, მსოფლიო პრესა მის რეკორდს 20 30 წლით დაბერებას უქადდა, მაგრამ უკანასკნელ სამ წელში. უკვე სამმა სპორტსმენმა მიაღწია მის შედეგს. მათ შორის ორმა საბჭოთა ძალოსანმა ვლასოვმა და მედვედევმა. ან მეორე მაგალითი: ოცი წლის წინათ ფინელი მორბენალის პავო ნურმის მსოფლიო რეკორდმა 5 000 და 10 000 მეტრზე რბენაში განცვიფრებაში მოიყვანა მსოფლიო. ახლა კი მის მიერ ნაჩვენები დრო მსოფლიოს ას საუკეთესო შედეგშიც კი არ შედის. ერთადერთი რეკორდი. რომელმაც აგერ ოცდახუთი წელია ასობით სპორტსმენის შეტევას გაუძლო. ზანგი მორბენალის ჯესი ოუენსის რეკორდია სიგრძეზე ხტომაში 8 მეტრი და 13 სანტიმეტრი. მაგრამ ამ ბოლო ხანებში უკვე რამდენიმე სპორტსმენი გადახტა 8 მეტრზე და. ეჭვსგარეშეა, რომ. თუ მანამდე არა, 1960 წელს, ოლიმპიურ თამაშებზე ეს რეკორდიც მოხსნილი იქნება.



ცხადია. ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს მართლაც არ არსებობდეს ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობის საზღვარი. ცხადია, ადამიანი ვერასოდეს გადახტება კილომეტრზე ან ვერ ასწევს ხელებით ტონა სიმძიმეს. მაგრამ სპორტული შედეგების ზრდა განუწყვეტელი იქნება. იგი არასოდეს შეწყდება.



რით არის გამოწვეული სპორტული შედეგების განუწყვეტელი ზრდა?

მიზეზები ბევრია.

სპორტი ახლა აღარ არის მარტო რჩეულთათვის, ზოგიერთთათვის; ასიათასობით ახალგაზრდას გზა გაეხსნა სპორტისკენ. მოედნისკენ. ვარჯიშისკენ; დიდად გაიზარდა ადამიანთა ცხოვრების დონე; სპორტულ მოძრაობაში ჩაებნენ აფრიკის. აზიის მრავალმილიონიანი ხალხები. ეს კი ახალი ტალანტების გამოვლინების დიდ შესაძლებლობას იძლევა.



მწრთვნელები და თვით სპორტსმენები მეცნიერული გულმოდგინებით სწავლობენ სპორტული წრთვნის საიდუმლოებას, აუმჯობესებენ ვარჯიშის მეთოდიკას, ტექნიკას.

ზ. ლეჟავშელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან



# დიდი ქართველი მეიგავე

Სულხან-საბა ორბელიანის სახელს ყოველთვის სიამაყით წარმოთქვამს მადლიერი შთამომავლობა იმ უდიდეს მოამაგეთა გვერდით, რომელთაც საქვეყნოდ ასახელეს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, ჩვენი ეროვნული მეცნიერება და კულტურა,

ეს წარუხოცელი ძეგლი, მშრომელი ხალხის გულში დიდმა მწერალმა ხელთუქმნელი ძლიერებით აიგო უპირველეს ყოვლისა სწორუპოვარი შემოქმედებითი საუნჯით და იმ მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, რომელსაც, ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიული ვითარებისათვის თავის დროზე განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დღეს ქართველ ხალხთან ერთად, მოძმე რესპუბლიკები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ 300 წლისთავს იმ ადამიანის დაბადებიდან, ვისი მხატვრული და მეცნიერული მემკვიდრეობაც ასეთი სიძლიერით ღაღადებენ ხალხის სიყვარულზე, მისი უკეთესი მომავლისათვის თავგანწირულ შრომასა და ბრძოლაზე.

* * *

სულხან-საბა ორბელიანის საზოგადოებრივ და სამწერლო-სამეცნიერო საქმიანობაში მეტად მკაფიოდ აღიბეჭდა იმდროინდელი ეპოქის კვალი. დიდგვაროვანთა შთამომავალი სულხან ორბელიანი 1658 წელს დაიბადა ქვემო ქართლში, მაშავრის ხეობაში, სოფელ ტანძიაში.

მან ბავშვობაში კარგი აღზრდა-განათლება მიიღო, რაც შემდეგში კიდევ უფრო სრულჰყო და მრავალმხრივობით დაამშვენა.

მისგან აღზრდილი სახელოვანი პოეტი და მეფე ვახტანგ მეექვსე ასეთი სტრიქონებით გვაცნობს ბრძენი მასწავლებლის ვინაობას:

«სიყრმითგან იყო მუდამად
სიბრძნის სწავლისა მსახველი,
ორბელიანმან საბამან
სახელითა ჰქმნა სახელი».

სწავლა-განათლებისადმი ასეთმა დაუცხრომელმა მისწრაფებამ მომავალ მწერალს დიდი და საფუძვლიანი ცოდნა შესძინა. ახალგაზრდა სულხანის ინტერესთა სფერო საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნების შესწავლით როდი შემოფარგლულა. იგი გულმოდგინედ სწავლობდა ენებს და მთელი გატაცებით ეწაფებოდა საერო-საფილოსოფიო მწერლობას.

ფართო და ენციკლოპედიური განათლების ეს ღრმა კვალი ნათლად ემჩნევა საბას არა მარტო სამეცნიერო-ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობას, არამედ მის უკვდავ მხატვრულ მემკვიდრეობასაც.

ფრიად საყურადღებოა, რომ სულხანი შედარებით ადრე ჩაება თავისი ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში.

მართალია, გიორგი XI-სა და ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ბედუკუღმართობის გამო, მანაც დიდი მარცხი და მრავალგვარი დამცირება განიცადა, მაგრამ საბა სულით არ დაცემულა, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაზე არასოდეს ხელი არ აუღია: თვით მაშინაც კი, როცა სამოქალაქო ცხოვრების არევ-დარევამ სულხანი საბას სახელით ბერის შავ მანტიაში გახვია და დავით გარეჯის უდაბნოში გასტყორცნა, სამშობლო ქვეყნის დიდი მოამაგე, მონასტრის მიყრუებული კედლებიდანაც პოლიტიკურ-მორალისტური ტენდენციების შემცველი ქადაგებებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს გათათრების ეპიდემიას, ზნეობრივი გახრწნისა და გადაგვარების გზაზე დამდგარ საზოგადოებრივ წრეებს.

უდავოა, მაღალი მოქალაქეობრივი ვალდებულებით გამსჭვალული საბა მარტოოდენ ლოცვითა და ფსალმუნის კითხვით ვერ დაიამებდა იმ ეროვნულ წყლულებს, რომლითაც ძნელბედობის ხანაში მთელი ქართველი ხალხი მტკივნეულობდა.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საბა, გარეჯის ტრამალ უდაბნოდან მგზნებარე მამულიშვილის ანთებული სულით ხშირად დაეშვებოდა საქართველოს გულში—თბილისში და აქტიურად ერეოდა ვახტანგ VI-ის მიერ გაჩაღებულ ფართო პოლიტიკურ და სამეცნიერო საქმიანობაში.

* * *

სულხან-საბა ორბელიანი თავისი დროის უაღრესად თვალსაჩინო ფიგურა იყო და, როგორც მშობელი ქვეყნის შავბედობის დიდი ჭირისუფალი, არ შეიძლებოდა ეპოქის მღელვარე მოვლენების გარეშე მდგარიყო.

მართლაც, 1710 წლიდან იგი საბოლოოდ სტოვებს უდაბნოს და მთელი გატაცებით აგრძელებს სამწერლო-სამეცნიერო და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

1713 წელს ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ კატასტროფასთან დაკავშირებით საბას დიპლომატიური მისიით საფრანგეთსა და რომში უხდება გამგზავრება. აქ მან ლუი XIV-სა და რომის პაპის კარზე თითქმის 3 წელი დაჰყო; კათოლიკობაც აქ მიიღო ოფიციალურად, რის გამოც მომავალში დიდი უსიამოვნება შეხვდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბას საელჩო მოგზაურობა უშედეგოდ დამთავრდა.

ყველაზე ძვირფასი ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით ის იყო, რომ მწერალმა გამოცდილი თვალით აღწერა მიღებული შთაბეჭდილებანი და ქართველ საზოგადოებას გააცნო იმდროინდელი ევროპის ხალხთა ყოფა-ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, სახელმწიფო წყობილება და სხვა.

1716 წელს საბა სამშობლოში ბრუნდება. აუწერელი ტანჯვა და სიძნელენი, რაც ჩვენს უილბლო დიპლომატს გადახდა, საბამ ლაკონიური სიტყვებით ასე გამოხატა: «რა ჭირიც გავიარეთ, ენით არ ითქმისო».

საქართველოში დაბრუნებულ საბას საშინელი სურათი გადაეშალა. მაჰმადიანური ტალღა ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა. თანამოძმეთა შორის გამეფებული იყო უნდობლობა და გაუტანლობა. ირგვლივ სიბნელე და გონებრივი ანარქია სუფევდა.

გამაჰმადიანებულმა კახეთის მეფე კონსტანტინემ ლეკების დახმარებით ვახტანგ VI დაამარცხა და თბილისი საშინლად ააოხრა.

ძმათა შორის ამ სისხლისმღვრელ უბედურებას მალე მეორე უბედურებაც დაერთო. 1723 წელს თბილისი ოსმალებმა დაიპყრეს და ვახტანგის ნაშრომ-ნაღვაწი ცეცხლსა და მახვილს მისცეს.

ვახტანგი იძულებული გახდა თანამოაზრე ქართველებთან ერთად, რომელთა რიცხვში საბაც იმყოფებოდა, რუსეთში გადახვეწილიყო.

აქ, 1725 წელს, 67 წლის ასაკში, მშვიდად დაიკრიფა საბამ ხელები და თან ჩაიყოლა სანუკვარი იდეალი: «ჩემს უკან,= ღმერთმან ქნას ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნასო».

* * *

სულხან-საბა ორბელიანმა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ყველა ამ საუნჯიდან ქართული ლიტერატურისათვის უძვირფასესია მხატვრული პროზის შედევრი, იგავ-არაკების საქვეყნოდ განთქმული კრებული «სიბრძნე სიცრუისა».

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ძველთაგანვე უკვდავი «ვეფხვისტყაოსნის» შემდეგ, ეს წიგნი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში.

ამის მიზეზი იმ სიბრძნეში უნდა ვეძიოთ, რომელიც იშვიათი მხატვრული ოსტატობითაა ჩაქსოვილი აღნიშნულ ძეგლში.

«სიბრძნე სიცრუის» იგავ-არაკთა უმრავლესობა მწერლის შემოქმედებითი გენიის ნაყოფია, ნაწილიც ხალხის სიბრძნიდან აღებული და შესაფერისი მიზნით გადამუშავებული.

კრებულის მთავარი თემა ახალი თაობის აღზრდაა დემოკრატიულ საწყისებზე.

მართალია, მწერალი ცხოველებსა და ფრინველებს ალაპარაკებს, მაგრამ ალეგორიულად იგი თითქმის ყველგან გულისხმობს საზოგადოების ფართო წრეებს, ებრძვის მანკიერებას და ქება-დიდებას ასხამს ყოველივე ადამიანურს, ცხოვრებაში სიკეთისა და მშვენიერების გამომხატველს.

საბას პედაგოგიურად ჯანსაღი შეხედულებით მოზარდის გონებრივ განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს ბეჯითი შრომა, გარჯა, ფიზიკური წრთობა. რაც უფრო დიდი იქნება სიყვარული შრომისადმი, ცოდნის შეძენისადმი, მით უფრო სახარბიელო იქნება მისი ნაყოფი. დიდი მორალისტის აზრით, სიზარმაცე, ფუფუნება, მედიდურობა დედაა ტლანქი ეგოიზმისა და მომაკვდინებელი ბიძგი ცხოვრებიდან მოწყვეტისა.

ცოდნით შეიარაღებული ადამიანი უძლეველია, იგი ადვილად გადალახავს ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე წამოჭრილ სიძნელეებს.

მოსწავლე ვალდებულია ულრმესი პატივისცემით უყვარდეს თავისი აღმზრდელი, ერთი წუთითაც არ ივიწყებდეს მისგან გაწეულ ფასდაუდებელ ამაგს.

აი რას წარმოათქმევინებს საბა ჯუმბერს მამის წინაშე საყვარელი აღმზრდელის ლეონის შესახებ: «ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულების საქმე—შენგან, და წვრთილობა—ლეონისაგანო».

«სიბრძნე სიცრუისა» ამავე დროს მამხილებელი წიგნიცაა. იგი დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალგვარ მანკიერებას. საბა დაუზოგავი სარკაზმით ამათრახებს ყველას, ვინც ამორალიზმის წუმპეში ჩაეფლო, სამშობლო ქვეყნის იდეალებს უღალატა, ხალხს ზურგი შეაქცია, მისი ჭირ-ვარამი გულთან არ მიიტანა.

გავიხსენოთ, თუ როგორი შეურიგებლობით გაკიცხა მწერალმა იგავში «ქორი და იხვი» სიხარბე და მტაცებლობა, ანდა რა ფიგურალური სიძლიერით დაგვიხატა ბოროტი და უმადური ადამიანის უსაზიზღრესი პორტრეტი ამავე ჟანრის ნაწარმოებში «კუ და მორიელი».

სავსებით ბუნებრივია ის დიდი მოწონება, რომელიც საბას იგავ-არაკების კრებულს ერგო წილად. უბადლო დიდაქტიკოსის სიბრძნითა და სადა მეტყველებით მოხიბლული ყოფილა ილია ჭავჭავაძე.

აკაკიმ, რაფიელ ერისთავმა და სხვა ქართველმა პოეტებმა დიდი მწერლის აღმზრდელობითი იგავ-არაკები ოსტატურად გალექსეს და ქართულ საბავშვო ლიტერატურაში სათანადო ადგილი დაუმკვიდრეს მათ.

ფრიად საყურადღებოა, რომ თავის მოგონებებში მაქსიმ გორკი კმაყოფილებით იხსენებს იმ შთაბეჭდილებას, რაც მასზე მოუხდენია საბას იგავ-არაკების უკვდავ კრებულს.

ასევე უდიდესი დამსახურება მიუძღვის საბას ქართული მეცნიერების წინაშე, როგორც თავისი დროისათვის უდიდეს ლექსიკოგრაფს. მისმა დაუცხრომელმა და ჭეშმარიტად ზეადამიანურმა შრომამ უანდერძა შთამომავლობას უძვირფასესი საუნჯე «ქართული ლექსიკონი», რომელსაც ვახტანგ მეექვსემ მოხდენილად «სიტყვის კონა» უწოდა.

სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, როგორც უკვე ითქვა, ფრიად საყურადღებოა «მოგზაურობა ევროპაში». ძვირფასია აგრეთვე დიდაქტიზმით შეზავებული საეკლესიო ქადაგებათა ხელნაწერი კრებული, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში «სწავლა-მოძღვრებანის» სახელწოდებითაა ცნობილი.

ცალკე დაფასების ღირსია საბას მიერ გაწეული შრომა იგავ-არაკების ცნობილი კრებულის «ქილილა და დამანას» გადმოქართულების საქმეში. მან ვახტანგ მეექვსესთან ერთად დიდი მუშაობა ჩაატარა, რათა შესანიშნავი ქართულით «გაჩარხულიყო» ეს განთქმული ძეგლი.

საერთოდ ცნობილია, რომ საბა ქართული ენის ბრწყინვალე ოსტატია, იგი ქართული სალიტერატურო ენის ნამდვილი რეფორმატორია.

* * *

მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით ბრძენი მწერალი ხალხთან იდგა, მის სულსა და გულში იყო ჩაქსოვილი.

საბამ უმკაცრეს დროში დიდი ძალით უმღერა საქართველოს ერთობისა და დამოუკიდებლობის იდეას. მას კარგად ესმოდა, რომ თუ ქართველი ხალხი დაბალ ზნეობრივ დონეზე დარჩება, თუ მისი იდეალები ეროვნულ შეგნებამდე არ ამაღლდება, თუ ყოფაცხოვრების ნაციონალური წესები უცხო ჩვეულებებისაგან არ გაიწმინდება, მაშინ გადაგვარება და დაღუპვა გარდაუვალია.

დიდი პატრიოტის იდეალი იყო: მარად ნოყიერი და სიუხვის მომცემი ყოფილიყო ქართველთა სამკვიდრებელი მიწა, ხოლო უკუნითი უკუნისამდე დღეგრძელი ის ხალხი, რომელიც ამ მიწაზე უხსოვარ დროიდან ცხოვრობს და დღეგრძელობს.

მართალია, უკვე 300 წელი ჩამოდგა საბას დაბადების დღიდან, მაგრამ მისი ნათელი ხატება კვლავ გაბრწყინებული დგას მადლიერი შთამომავლობის წინაშე.

და რამდენადაც დიდი მეიგავის შემოქმედება ქართველი ხალხის უკეთილშობილეს იდეალებს უმღერის, ამდენად ჟამთა დინებაში უბერებელი იქნება იგი.

**სიმონ სხირტლაძე**

სულხან-საბა ორბელიანი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაკები

წიგნიდან: „სიბრძნე სიცრუისა"



## მთიული და კაკლის ხე

Კაცი ვინმე იყო, ზეგანთა ალაგთა მყოფი, რომელსა წალკოტი არა ენახა. ჩამოვიდა ბართა ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა შიგან და ყოველივე: ხეხილი, მწვანილი დია მოეწონა და ღმერთს მადლობა მისცა:—ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადო; ცოტას ბალახისათვის ნესვი მოგიბავს და დიდის ხისათვის ნიგოზიო!—მიიარმოიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზედ შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცს შუბლში დაეცა და გაუტეხა. აღდგა კაცი იგი და თქვა:—ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!

## კუ და მორიელი

Ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა:—ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო!—შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა:—ძმაო, რას იქმო?—მორიელმან უთხრა:—რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა ვუკბინოთო.—კუმ დაიყურყუმალავა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა:—ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო.





## ქურდი მკერვალი

Ერთი მკერვალი იყო დია ქურდი. რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის. ღამესა ერთსა ნახა სიზმარი: პირთა ხე ამოსლოდა და ყოველი ნაპარევი ნაჭერი ზედ ეკიდა რტოთა. რა გაეღვიძა, შეშინდა. შვილს უთხრა:—როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე მომაგონეო!—ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაჭრევინა. რა პარვა დაიწყო, შვილმა ხე მოაგონა. ეწყინა მკერვალსა, მაკრატელი პირში ჩასცა და ეგრე უთხრა:—ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა მას ხეზედაო?



## გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზაგზა სვლა და გულთა ამასა უბნობდა:—აწ გამდიდრება ჩემი მოინება ღმერთმან. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი: მით თორმეტს სამამლე წიწილას ვიყიდი, მოვიყვან. დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ, და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებს დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები.—ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასასყიდად წამოიღო. ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან:—აქ ხარი არ გაიარს. ხმა გავცეო.—შესძახა:—ჰარიო!—დაუქნია ჯოხი, ერბოის ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

## უტკბესი და უმწარესი

ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა:—წადი, ასეთი საჭმელი მომიტანე, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არც ზღვასა შინა იპოებოდესო!—წავიდა ვაზირი, ენა უყიდა; მოუტანა, შეწვა, აჭამა. მოეწონა. მეორედ უბრძანა:—წადი, ასეთი მომიტანე, მის უმწარესი არ იპოებოდესო ქვეყანაზე!—წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა. უბრძანა მეფემან:—მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და ენა მომიტანე!—მოახსენა ვაზირმან:—თავმან შენმან, არცარა ენის უტკბოსი იქნებისო და არცარა ენის უმწარესი პირისა ყოვლისა ქვეყნისასაო.



## ხალიფა და არაბი

ბაღდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო და კაი ცხენს ძვირფასად იყიდდა. დავარდა ამისი ხმა. ერთმან არაბმან ერთი ცხენი მოიყვანა, ორი ათას მარჩილად დააფასა. ხალიფამ მაშინვე მოუტანინა. მან არაბმან უთხრა:—ერთს ძაძაში ჩამიყარეთ, თვარა რით წავიღოო?—ჩაუყარეს და მისცეს. უცნაურად მოჰკრა არაბმან ვეცხლს ხელი, ცხენს გარდაჰკიდა, შეჯდა, გააჭენა ცხენი. გამოუდგნენ სულ ხალიფას ჯარი კაის ცხენებით. გზა და კვალი ველარ გაიგნეს. მობრუნდნენ დაღონებულნი. მესამეს დღეს არაბი მოვიდა, ცხენი მოიყვანა. ჰკითხეს:—რატომ ჰქმენო?—მან მოახსენა:—შორს ვიდეგ, საკიდარი არა მყვანდა რა, ვეცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი. წავიღე და ახლა ცხენი მომიყვანიაო.—მერმე უთხრეს: ვინლა მოგდევდა და გიცნობდა, ცხენი რადღა მოგყვანდაო?—მან გაიცინა და უპირობა უზრახა:—კარგის პასუხად ეგ მექმნა, ღმერთი რას მიზამდაო?



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვთა ორგანიზაცია, „წითელი შევარდენის“ ერთი ჯგუფი ვენის ქუჩებში.

# 112 ქვეყნის დროშა ფესტივალზე

მთელი მსოფლიოს მოწინავე ახალგაზრდობის სანუკვარი სურვილია იყოს ქვეყანაზე მშვიდობა, ცხოვრობდეს ხალხი მეგობრულად, მარად ბედნიერება ახლდეს მომავალ თაობას.

სხვადასხვა ქვეყნის შვილთა ეს წმიდათა-წმიდა საერთო მიზანი დაედო საფუძვლად ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის მოწყობას. ოფიციალური შეთანხმება ფესტივალების შესახებ მოხდა 1945 წელს ლონდონში, სადაც თავის პირველ ომისშემდეგდროინდელ კონფერენციაზე შეიკრიბნენ ყველა ხუთი კონტინენტის ახალგაზრდა ადამიანები.

თვით ფესტივალების ჩატარება კი დაიწყო ორი წლის შემდეგ, და განვლილი 12 წლის მანძილზე სხვადასხვა ქალაქებში უკვე შვიდჯერ შეიკრიბნენ მსოფლიოს ახალგაზრდათა წარმომადგენლები. პირველი ფესტივალი პრაღაში გაიმართა, მეორე ბუდაპეშტში, მესამე— ბერლინში, მეოთხე —ბუქარესტში, მეხუთე— ვარშავაში, მეექვსე— მოსკოვში, ხოლო მეშვიდე ახლახან, მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში — ვენაში.

ავსტრიის დედაქალაქი გულთბილად შეხვდა იქ სტუმრად ჩასულ ათასობით ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომლებიც მსოფლიოს 112 დიდსა და პატარა ქვეყანას წარმოადგენდნენ. ზოგი დელეგაცია რამდენიმე ასეულ კაცს ითვლიდა, ზოგის შემადგენლობა კი სამ დელეგატს არ აღემატებოდა, მაგრამ განურჩევლად ამა თუ იმ ჯგუფის ოდენობისა, თითოეული მათგანის წარმომადგენელმა ერთნაირად ამაყად გაატარა თავისი ქვეყნის დროშა ვენის მთავარ სტადიონზე, სადაც 26 ივლისს ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა.

შემდეგ მთელი ათი დღის განმავლობაში, რამდენ ხანსაც ფესტივალი მიმდინარეობდა, ვენას შეიძლება ითქვას, უძილო ღამეები ჰქონდა. ზაფხულის ცხელი დღეების გამო ქალაქში ხალხი საკმაოდ შეთხელებულიყო, მაგრამ ისინი, ვინც დარჩენილიყვნენ, თავს მოვალედ სთვლიდნენ თვალი გაეძლოთ რაც შეიძლება მეტი სანახაობის ცქერით, რომელთაც უხვად. თავიანთ ეროვნულ ყაიდაზე მართავდნენ მათთან ჩასული სტუმრები სხვადასხვა დარბაზებში, აგრეთვე ქუჩებში, მოედნებზე. ამას კი დრო უნდოდა და ამ დროს ძილსა ჰპარავდნენ ვენელები.

სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებდა საბჭოთა ახალგაზრდა შემსრულებელთა გამოსვლები, რომელთა დამსახურებულ წარმატებაში თავიანთი წვლილი ჰქონდათ თბილისის რკინიგზის კულტურის სახლთან არსებულ ხალხური ცეკვის ახალგაზრდულ ანსამბლს, რომელსაც ბუხუტი დარახველიძე ხელმძღვანელობს, და ნორჩ ქართველ პიანისტ ელისო ვირსალაძეს.

ფესტივალის დღეებში მთავარი ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდათა წარმომადგენლების შეხვედრებს. შეხვედრები ტარდებოდა ხშირად, საქმიანად, ასობით ჭაბუკისა და ქალიშვილის მონაწილეობით.

ქალაქის ერთ-ერთ უზარმაზარ საგამოფენო დარბაზში სახვითი ხელოვნების დიდი გამოფენა იყო მოწყობილი, რომელიც შეიცავდა ბავშვთა შემოქმედების განყოფილებასაც, თუმცა მოუმწიფებელი ხელით, მაგრამ დიდი გულმოდგინებით შესრულებუ-

ლი ნამუშევრებით. და მსჯელობდნენ რა მეშვიდე ფესტივალის მონაწილენი მომავალ კეთილდღეობაზე, უპირველესად ყოვლისა მხედველობაში ჰქონდათ ბედ-იღბალი მილიონობით უმანკო ბავშვისა.

თვით ბავშვები კი იმ დღეებში ფესტივალზე სტუმრად ჩამოსულთა შორის თითქმის არ იყვნენ, და თითქოს უიმათობა რომ შესამჩნევი არ ყოფილიყო, თითქოს მათი მაგივრობაც რომ გაეწიათ, განუწყვეტლივ ფუსფუსებდნენ ქუჩებში პატარა ვენელები, ქერა თუ წაბლისფერთმიანი, ცისფერთვალა გოგონები და ბიჭები. ერთნაირად დაუდევრად ჩაცმულები. თამამები და ცნობისმოყვარენი. ისინი მთელ დღეს დაულალავად დაძრწოდნენ სადაც არ უნდა გაგეხედათ, ტურისტთა და ფესტივალის მონაწილეთა ხან ერთსა და ხან მეორე ჯგუფს მიეტმასნებოდნენ, გუნდ-გუნდად ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ. მანამ არ დაეხსნებოდნენ, ვიდრე რაიმეს, სამკერდე ნიშანს ან სურათს, სხვა რაიმე სამახსოვრო საგანს არ გამოსტყუებდნენ, ან იღლიაში ამოჩრილ კარგა მოზრდილ, დავთრისოდენა რვეულში ავტოგრაფს არ ჩააწერინებდნენ.

ამ გოგო-ბიჭებს ერთგვარი უმეთვალყურეობა ეტყობოდა. მართალია, არაჩვეულებრივი ზეიმის დღეები იყო მათს ქალაქში, მაგრამ მშობლებს ასე თავის ნებაზე მაინც არ უნდა მიეშვათ ბავშვები, რომ დილიდან გვიან ღამემდე ისინი, როგორც წესი, ქუჩაში ყოფილიყვნენ. ასე კი იყო.

პატარების მეორე, მცირე ნაწილი ზოგიერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაერთიანებულია ბავშვთა ორგანიზაციებში „წითელი შევარდნები" და „ახალგაზრდა გვარდია". ამათთან მეტი წესრიგია. ფორმა აცვიათ, ქალაქში მწყობრად დადიან, თუმცა მათ მეორე უკიდურესობა, ნაადრევი სერიოზულობა მიუკერებიათ სახეზე. ისინი კიდეც უშუალოდ მონაწილეობდნენ ფესტივალის სხვადასხვა ღონისძიებაში, კერძოდ ლოზუნგებითა და სიმღერებით გამოვიდნენ ქალაქის მთავარ მოედანზე ომის საფრთხის წინააღმდეგ გამართულ ხალხმრავალ მანიფესტაციაზე...

ძველი რომის იმპერიის საზღვარზე მდებარე ერთ-ერთი სიმაგრის ადგილას 881 წელს წარმოშობილი, ლამაზი და სახელგანთქმული ქალაქია ვენა. ხალხისათვის იგი უპირველესად ცნობილია, როგორც დიდი კულტურული წარსულის ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი ადამიანი. კერძოდ, ვენასთან არის დაკავშირებული მუსიკის ისეთ გოლიათთა სახელები, როგორიცაა ბეთჰოვენი, შუბერტი, მოცარტი, შტრაუსი. სხვა სახელოვანი ადამიანიც ბევრი უნახავს ვენას თავის მიწაზე, ბევრი შესანიშნავი ჰანგი მოუსმენია და სანახაობა უხილავს თავისსავე ვრცელ დარბაზებსა და მოედნებზე. ამასთან მუდამ კოხტა ქალაქად ითვლებოდა იგი და თანამედროვე იერიც მომხიბლავი და დასამახსოვრებელი აქვს.

ამდენად თვითონ ღირსეულმა, მრავლის მნახველმა ქალაქმა ღირსეული შეფასება მისცა VII მსოფლიო ფესტივალს, რაკი გულმხურვალედ მიიღო და მოიწონა იგი მისმა ყოველმა ქუჩამ, მოედანმა, პარკმა, ყოველმა დარბაზმა, ესტრადამ, წყალუხვმა დუნაიმ და ხატოვანმა ვენის ტყემ, ხოლო უპირველესად კი უბრალო ავსტრიელმა ადამიანებმა, რომელთაც საამაყო მოგონებად დარჩებათ, რომ სხვადასხვა ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების მსოფლიო დღესასწაულის ადგილი ერთხელ მათი მშობლიური ქალაქიც იყო.

გ. გელაშვილი

[illegible] თემაზე

## ფუტკრის გონიერება

ფუტკარი ფეხსახსრიან მწერთა ჯგუფს ეკუთვნის. იგი თავის თანამოძმეებთან ერთად კოლექტიურ შრომაშია ჩაბმული და ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქციას—თაფლსა და სანთელს ამზადებს.

ფუტკრის გონიერებაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება.

ცნობილია, რომ ხანგრძლივი წვიმებისა და სიცივეების დროს ფუტკრები სკიდან გარეთ ველარ გამოდიან. ამ დროს ისინი საკვების დაზოგვის მიზნით, არამუშა ფუტკრებს—მამლებს გარეთ ერეკებიან, თუ უამინდობა კვლავ გაგრძელდა, მაშინ ფუტკრები სამამლე ბარტყებსაც იღებენ უჯრებიდან და მათაც გარეთ ყრიან, დაზოგილი საკვებით კი დედალსა და სამუშე ბარტყებს კვებავენ.

აი, მუშა ფუტკარმა მაგიდაზე შემთხვევით დარჩენილ შაქრის ნატეხს მიაგნო. მან იგი ყოველმხრივ მოსინჯა და სწრაფად გაფრინდა. ცოტა ხნის შემდეგ შაქრის ნატეხს ათიოდე ფუტკარი შემოეხვია. შაქარი იმათაც გასინჯეს და თვალს მიეფარნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი კვლავ გამოჩნდნენ, ჩიჩახვით წყალი მოიტანეს და შაქარს დაასხეს. შაქარი დადნა, ტკბილი წვენი კი ფუტკრებმა ხორთუმებით აიღეს და სკისაკენ გააქანეს.

ფუტკრები რომ შესანიშნავი მშენებლები არიან, ამაში ადვილად დავრწმუნდებით ფუტკრების მიერ აშენებული ფიჭის დაკვირვებით. ფიჭის ყოველი უჯრა ექვსი კუთხისაგან შედგება ისე, რომ ერთი უჯრის კედელი მეორეს უწევს კედლობას, ერთის ძირი—მეორის იატაკია. ფიჭის ამგვარი მშენებლობა ნაკლებ მასალას, ცოტა დროსა და მცირე ადგილს მოითხოვს, სამაგიეროდ ტევადობა დიდია.

ფუტკრების ცხოვრებას კოლექტიური შრომა უდევს საფუძვლად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათგანი ზრუნავს ერთისათვის და ერთი ყველასათვის.

ვლ. უნაფქოშვილი

# ძველი თბილისის კონკები



ᲐᲜᲐ ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ნახ. თ. სამსონაძისა

ვერის დაღმართის ნაპირებზე, ათეული წლების წინათ, ისეთი ხრამები იყო, რომ ადამიანს ზარავდა, მტკვრის ნაპირზე კი ღორღისა და ნაგვის ზვინები გორა-გორა იდგა. აქ ხშირად ნაგავზე დაყრილ მძორზე ყვავ-ყორნებს ქეიფი ჰქონდათ გამართული. იქვე, ძაღლებს ძვლებზე ჩხუბი მოსდიოდათ და იდგა შფოთი და ღრიანცელი.

ბეგარადადებულ ვერის ხიდზე კი სხვა ჯურის აყალმაყალი იდგა: ბეგარის ამღებ კაცს ეტლი გაჰპარვოდა. როცა სამი ფურგუნი ერთად შემდგარიყო ხიდზე, მეეტლეს გვერდი შეეხვია და, ის იყო, ბოლოში გაძვრებოდა, ყარაულს რომ დროზე თვალი არ შეესწრო და ყვირილით არ გამოსდგომოდა. შაურის გულისათვის ისეთი ამბავი დაეყენებინა, რომ ყურთასმენა აღარ იყო.

— შე უსინდისო, შაურის გადახდას გაურბიხარ? ეს დიდი ხელმწიფის წყალობაა, ქალაქი დაასაჩუქრა და ამის ვალში ერთი შაური გენანება?! - თან შაურიანი ისე წაგლიჯა ხელიდან, თითქოს მაჯა უნდა წაეძრო; აქა-იქ ეტლები შეჩერებულიყვნენ და გამზადებულ შაურიანებს ხელში უსიტყვოდ აჩეჩებდნენ.

ხოლო „კონკა“ ზარის წკრიალით აღმართისაკენ მიემართებოდა. აღმართი ისეთი მაღალი იყო, რომ ხიდის ყურზე ორ-ორი ცხენი უცდიდა. კონკას ცხენებს აქეთ-იქიდან მიუბამდნენ და დასჭყივლებდნენ: ზურგწამხდარი ცხენები საშინელი წმახნითა და თავების ქნევით აღმართზე კონკას ძლივს მიათრევდნენ.

ჯერ შუა აღმართს არ მიეღწია კონკას, რომ უცებ ერთი მოხუცი დედაკაცი ბოხჩით ხელში წამოიჭრა და ყვირილი ასტეხა:

— „სტოი“, კონკაჯან, „სტოი“! აქ არის ჩემი სახლი, ქა, გააჩერე-მეთქი.

— მოიცა, დედიჯან, აქ გაჩერება არ იქნება—უპასუხა კონდუქტორმა და შოლტი უფრო მაგრა ჩაუქნია ცხენებს.—გინდა, დაგორდეს და ხრამში გადაიჩეხოს!?

— ქა, გააჩერე მეთქი, არ გესმის? ტყუილად ხომ არ მოგეცი ის ოხრად დასარჩენი სამი კაპიკი!—ჩხაოდა ხრინწიანი ხმით მეორე რიგის სკამზე მჯდომი მოხუცი და ქოლგის ტარით კონდუქტორს ზურგში უჩიჩხინებდა.

კონკა ცოტა ზემოთ გაჩერდა. ბებერი ბუზღუნით გადმოვიდა. მაგრამ ერთი-ორი სახლის ზემოთ ახლა სხვა მგზავრმა მოისურვა კონკის გაჩერება, შემდეგ მესამემ და თითოეული პიროვნების მოთხოვნით კონკა წარა-მარა ჩერდებოდა.



— ვაი, ვაი, ვაი!!! ერთი შეხე ამ საცოდავ ცხენებს, ამ აღმართზე როგორ იტანჯებიან!—წარმოთქვა ერთმა მოქალაქემ თავის ქნევით და ამხანაგი გააჩერა. —არ დაიჯერებ, კონკაზე დაჯდომა კი არა, აქ გამოვლაც მიჭირს ამ ცხენების საცოდაობით.

— ჰო და იმიტომ არიან ეგ საცოდავი ცხენები ეგრე გატყავებულები. აბა შეხედე, მაგათი ლეში ერთ

კაჭკაჭს თუ გააძლებს!—უპასუხა მეორემ და გრძელი ყურთმაჯა მხარზე შეიგდო. ამ ორ მოქალაქეს თავზე კიკიროზიანი ქუდები ეხურათ. მხრებზე შავი ყურთმაჯები გადაეგდოთ, შიგნიდან აბრეშუმის ცისფერი, ღილკილოებით შეკრული ახალუხი ეცვათ, ზედ ვერცხლის ქამრები ეკრათ. ფეხებზე გარმონივით დაკეცილი მაღალყელიანი წაღები უპრიალდებდათ. ისინი შავებში ჩაცმულ დედაკაცს წამოეწივნენ. ქალს ხუთი წლის სახეგაყვითლებულ და მუცელდასიებულ ბავშვისათვის ხელი ჩაეკიდა და აღმართში ძალით მიათრევდა. დასუსტებული ბავშვი ფეხს ურევდა, თვალებში ნაღველი და უილაჯობა ჩასწოლოდა. ხიდის ყურამდე ძლივს მიაღწიეს. აქ ხანში შესულ კაცს ნამცხვრებით სავსე კალათა ედგა და გამვლელ-გამომვლელთ ნამცხვრის ცხენებსა და კაცებზე უთითებდა. „გემრიელი და იაფი"—გაჰყვიროდა. მიახლოვებულ ბავშვს თვალები შუქით აევსო, მუხლმოკვეთილი წაიქცეოდა, კალათის წინ მოწყვეტილად რომ არ ჩამჯდარიყო. ჩაჯდა თუ არა, იმ წამსვე ერთ ცხენს წაატანა ხელი და დაითრია.

— არა, შვილო, ხელს ნუ ახლებ, ეგ სხვისაა.

ძია ჯავრობსო,—ბავშვს სახე უარესად დაუნაღვლიანდა. ძია კი მართლა გაჯავრდა.

— იყიდე, რაღა, სულ სამი კაპიკის საქმეა, შე დალოცვილო!

— არა, გენაცვალოს დედა, ვერ გიყიდი. ავადმყოფი ბავშვი ფეხით იმიტომ წამოგიყვანე, დოსტაქრის ფული დამაკლდება-მეთქი.

ბავშვმა თვალები დახუჭა, უნდა ეტირა, მაგრამ ამ დროს უცხო ხმაურობამ და უცნაურმა სანახაობამ მიიქცია მისი ყურადღება და გაშტერდა: ლამაზი თასმებით გუთნურად გადაბმული სამი წყვილი ცხენი შავად მბზინავ „ლანდოში" ება და აღმართზე თქარა-თქურით მიგრიალებდა; მხარმარჯვნივ თითო ცხენზე თითო მძღოლი იჯდა. პრიალა მუზარადები ეხურათ, ცისფერი მუნდირები ეცვათ. ლანდოს პირველ რიგში ჩინმედლებით დამძიმებული სამხედრო კაცები ისხდნენ, უკანა რიგში უცხოდ მორთულ ქალებს სირაქლემას ბუმბულები უმშვენებდათ ქუდებს. სულ უკანა გადაღობილ ნაწილში მაღალცილინდრიანი ლაქიები ჭადრაკის ფიგურებივით გაშეშებული ისხდნენ.

ქართულ კაბიანი მოქალაქეები დაღვრემილ დედაკაცს მაშინ წამოადგნენ თავს, როცა იგი ბავშვს ეუბნებოდა: არა, შვილო, კონკის ფული იმიტომ დავზოგე—დოხტურის ფულს ნოაკლდებაო. ამ სიტყვებზე ერთი მათგანი გაჩერდა, შაქარწაყრილი ცხენი და მხედარი უყიდა ბავშვს და თან დედამისის წინაშე გულწრფელად მოიბოდიშა:

— მაპატიეთ, ჩემო დაო! ამოდენა ბავშვი მეც მყავს და იმისმა ხათრმა გამაბედვინა ეს ამბავი.

მეორემ ლანდოს თვალი გააყოლა და თავის ქნევით ვულიდან სინანული აღმოხდა:

— ჰაი, გიდი!—ვითამ ჩვენცა ვცხოვრობთ და ეგენიც.



ზემოთ კი, ვერის აღმართის თავში მთლად კორტოხები იყო და მტკვრის მიმართულებით ისეთ ხევს დაეღო პირი—თუ ოდესმე ის ადგილი ამოივსებოდა და მთელი რიგი დიდი შენობებისა ამაყად გამოიჭიმებოდა ეს ნამდვილად საზღაპრო ამბავი იქნებოდა. ახლანდელ მოსკოვის ქუჩის მიმართულებით ღელეები და კლდიანი ბორცვები იდგნენ და აქა-იქ მთიდან დაკიდებული რუები ჩხრიალებდნენ.

ძველი საურმე გზის პირად თათრების პატარა ქოხმახები სოკოებივით ამოსულიყვნენ. შიგ მეჯღანე თათრები ისხდნენ და გარეუბნის ხალხის ძველმანებს აკერებდნენ...

* * *

ეს ყველაფერი გამახსენდა გუშინ, მთაწმინდიდან რომ დავხედე თბილისს. მშვენიერი საღამო იყო და უნებლიედ აღმომხდა: შენს სახელს კი ვენაცვალე, ჩემო თბილისო! ნარიყალას ქვემოთ სიონისა და ანჩისხატის უბნები საბუდრად გქონდა, ახლა შენი ბრწყინვალე ქუჩებით და მწვანე კალთებით სად გაჰრილხარ, ნეტავ საით მიექანები, ჩვენო ტკბილო, ჩვენო მოამაგე დედაქალაქო!

# ტექნიკის სამყაროში



## სტადიონი გადასახსნელი სახურავით

როგორი სტადიონი სჯობია, გადახურული თუ ღია? ამაზე არ ღირს თავის მტვრევა. თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა აგებულ იქნას ისეთი სტადიონი, რომელიც კარგ ამინდში ღია იქნება, ავდარში კი გადახურული. ასეთი სტადიონი უკვე შენდება ამერიკაში, ოგაის შტატში. იგი მრგვალი შენობა იქნება, დიამეტრით 136 მეტრი, უზარმაზარ თაღქვეშ მოეწყობა ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკები, ტრიბუნები.



თაღი, რომელიც უჟანგავ ფოლადისაგან დამზადდება, რვა ნაწილად იქნება დაყოფილი: ორი იქნება უძრავი, ექვსი—მოძრავი. ამ ფოტოზე სწორედ ამ სტადიონის მოდელია გამოსახული.

უახლოეს ხანებში განზრახულია ასეთივე ტიპის გადახურულ არენად მოსკოვის „დინამოს" სტადიონის გადაკეთება.

## ცეცხლი სჭრის ბეტონს

ქარხნების რეკონსტრუქციის, ხიდებისა და წყალსაცავების რემონტის დროს ხშირად საჭირო ხდება ბეტონის დიდი მასივების დანგრევა. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის როდია ფეთქებადი ნივთიერების გამოყენების საშუალება. ბეტონი ხომ ძალზე მკვრივია და მანქანებისა არ ეშინია, ამიტომ იძულებული არიან იგი ნელნელა, წვრილ-წვრილად, პერფორატორების საშუალებით დაამსხვრიონ ხოლმე.

ახლა კი, როგორც ცნობილი გახდა, გამოგონებულია „ცეცხლოვანი დანა", რომელიც ბეტონს ისე ჭრის, როგორც დანა კარაქს. ამ მარტივ ხელსაწყოში ალის წარმოსაქმნელად წყალბადი შეერთებულია ალუმინისა და რკინის ფხვნილთან, ეს



ისეთი ძალისა და ხურვადობის ალს იძლევა, რომ მისი მოქმედებით ბეტონში წამსვე ხვრელი ჩნდება. „ცეცხლოვანი დანა", როგორც მას დაარქვეს, 3,5 მეტრის სისქის ბეტონის ლოდსაც ადვილად ერევა.

## ტრამპლინი პლასტმასისაგან

„წარუმატებლობა გაკვეთილი უნდა იქნეს"—ამბობს უნგრული ანდაზა. ეს ხალხური გამოთქმა მოაგონდათ უნგრულ სპორტსმენებს, როდესაც სამთო სათხილამურო სპორტში სასტიკად დამარცხდნენ ევროპის უძლიერეს გუნდებთან. სპორტსმენებს მეცნიერები დაეხმარნენ. ბუდაპეშტში აშენდა 40 მეტრიანი ტრამპლინი. ტრამპლინი დაფარულია პლასტმასით, რომელიც თოვლს არაფერში ჩამოუვარდება. ზაფხულში, მცხუნვარე მზის სხივებქვეშ სპორტსმენები ზამთრის შეჯიბრებისათვის ემზადებოდნენ.

## გიგანტი ექსკავატორი

ათეული წლების მანძილზე აღმოსავლეთ გ ე რ მ ა ნ ი ა ში მხოლოდ სოფლის მეურნეობა, პოლიგრაფია და ხელსაწყოთმშენებლობა იყო განვითარებული. მძიმე მრეწველობის ქარხნები კი მხოლოდ დასავლეთ გერმანიაში შენდებოდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა ამოცანად დაისახეს, შეექმნათ თავიანთი მძიმე მრეწველობა. თუ რა წარმატებით გადაწყვიტეს მათ ეს საკითხი, ჩანს აქ მოთავსებულ სურათზე. გიგანტური ექსკავატორი, რომელიც 1900 ტონას იწონის, რვა საათიანი სამუშაო დღის მანძილზე იღებს 34 000 ტონა მიწას, ანუ სამნახევარ წუთში ტვირთავს ერთ ვაგონს.



## შვეულმფრენი — ამწე

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ მეტალურგიულ ქარხანაში ბრძმედს აშენებდნენ. წინათ ასეთ სამუშაოზე დიდი დრო



იხარჯებოდა, ამიტომ მშენებლებმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს დროისა და ხარჯის შემცირების მიზნით ამ საქმეში შვეულმფრენი გამოეყენებინათ. ასეც მოიქცნენ. შვეულმფრენმა დავალება კარგად შეასრულა. მსუბუქად აიტაცა და დიდი სიზუსტით დაუშვა ბრძმედის ზედა ნაწილები თავის ადგილას.

უკანასკნელ ხანებში ამ მეთოდს ხშირად იყენებენ საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებში. ახლა მშენებლობისათვის უკვე სპეციალურ შვეულმფრენებს აგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიმიტრი მირიანაშვილი

# მეღორე

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

(მოთხრობა)

ვარდისუბანში ცხოვრობდა ვინმე ქვრივი ნინო კოტიაძვილი. ჰქონდა სახნავი მიწა და ჩალური სახლის წინ უზარმაზარ ეზოში გოჭებიანი ორი ღორიც ჰყავდა.

ნინო ღორების მომვლელს ეძებდა.

ერთხელ, როდესაც გაღმელი გლეხი ალექსი ამ სოფელში იყო პურზე ღვინის გადასაცვლელად, ნინოს დაპირდა: ჩემს ბიჭს მოგიყვან, ის მოუვლის შენს ღორებსო. ჯამაგირზე უარი უთხრა — მარტო ჩააცვი და აჭამეო.

1921 წლის თბილი აპრილი დადგა. ალექსი თავის ათი წლის ბიჭს ვარდისუბანში წასაყვანად ამზადებდა. პატარა დათას გაცვეთილ ქალამნებს ტყავის ნაჭერი წაუფინა, რომ თითებთან და ქუსლებთან გამოგლეჯილი ადგილები დაეფარა. ცრემლმორეულმა დედამ დათას წინდები ამოუკერა, დაახურეს თუშური ქუდი, უფროსი ძმების გამონაცვალი ტანსაცმელი ჩააცვეს, სახედარზე შესვეს და ალაზნის გაღმა, ვარდისუბნის გზას გაუყენეს.

დათას არ ესმოდა რა ხდებოდა მის თავზე. გული ჩიტივით უდარდელი და მხიარული ჰქონდა, ქალამნებიან პატარა ფეხებს სახედარს ფერდებზე ურტყამდა, დასჭყიოდა და შესაშინებლად შინდის საჩრეს უღერებდა. შიში არაფრისა ჰქონდა, მამა ხომ მასთან იყო.

ალექსი ნელი ნაბიჯით მისდევდა სახედარს.

ალაზნის ხიდს რომ გასცდნენ, ერთი დიდი მუხის ქვეშ, იქვე, გზის პირას ჩაიმუხლეს. ალექსიმ სახედარი ბალახზე მიუშვა და ღარიბი სუფრა გაუშალა უკანასკნელად თავის პატარა დათას.

* * *

შუადღე მოახლოვებული იყო, როცა მამა და შვილი ნინო კოტიაშვილის სახლს მიადგნენ. ნინოს საკერებლადქცეული შარვალ-ხალათიანი ბალღი შეეცოდა. ამ სიბრალულს უფრო აძლიერებდა პატარა დათას გაბერილი, წითელი ლოყები, რომელიც ბავშვს თავისებურად მიმზიდველს ხდიდა.

მასპინძელმა მოსულების პატივსაცემად სუფრა გაშალა. დათა მამას გვერდზე მიუჯდა, გაჩუმებული გაუბედავად ღეჭავდა შემწვარ კარტოფილს და საუბარს თავდახრილი უსმენდა.

— ხომ იცი, ალექსი, — დაიწყო ნინომ, — ქვეყნად არავინ გამაჩნია. ქმარშვილი დამეხოცა, მეღა ვარ, ერთი დედაკაცი და მიძნელდება ღორების მოვლა. ამის საქმე ეს იქნება: დილით გარეკოს ღორები, აქვე, სოფლის ბოლოში, ანწლიანში, ყალთაღებზე ბევრი დანდურია. აძოვოს შუა დღემდე, ვიდრე დაცხება, მერე მორეკოს შინ, საჭმელი ჭამოს, დაისვენოს და გადაგრილებისას ისევ საძოვარზე გარეკოს. თუ სიყოჩაღეს გამოიჩენს, მე ვიცი...

როცა მასპინძელმა თქვა: „თუ სიყოჩაღეს გამოიჩენს, მე ვიციო", ალექსიმ ჭამა შეწყვიტა, რომ უფრო კარგად გაეგო მასპინძლის სიტყვები, რაზეც დათას მომავლის ავკარგიანობა იყო დამოკიდებული. მოხუცს სიმწრის ოფლით დასველდა მთელი სახე. ის უფრო მეტს მოელოდა ნინოსაგან... მაგრამ მას აღარაფერი უთქვამს. ასე დასრულდა მათი შეთანხმებაც, თუმცა რას გულისხმობდა ახალი პატრონი ამ ორ სიტყვაში „მე ვიციო", ვერაფერი გაეგო, ვერც შეკითხვა შეჰკადრა.

ერთ ხანს, სიჩუმის შემდეგ, ალექსიმ ტიკიდან ჩაის ჭიქებში პურზე გადასაცვლელად ნასესხები ღვინო ჩამოასხა, ერთი ნინოს გაუწოდა, მეორე თვითონ აიღო და, სანამ დალევდა, მასპინძელს თავისი ოჯახის დუხჭირი გაანდო:

— ექვსი წვრილ-შვილის მამა ვარ. ვენახი პატარა მაქვს, ყურძნად ძლივს გვყოფნის. საქონელი არა მყავს და სხვა აბა რა სიმდიდრე მექნება, რამ უნდა არჩინოს ამოდენა ოჯახი ამ სიძვირეში! მჭადის ლუკმა ენატრებათ ბალღებს. აქ ცარიელი პური მაინც ექნება, ესეც კარგია. შარშან ორი ჩარექი სხვისი ვენახი მქონდა სანახევროდ და სეტყვამ ისე გაანადგურა, რომ ხუთი გოდორი ძლივს მოვაგროვეთ. შენი ჭირიმე, ნინო, ე ბალღი არავის დამიჩაგვრინო. სახლიდან რომ მომყავდა, ამის დედა გამიძალიანდა, არ მანებებდა: სად უნდა გადამიღუპო უსუსური ბალღიო...

ალექსის ეს სიტყვები სადღეგრძელოც იყო და თხოვნაც. ბოლოს დალოცა ოჯახი, ადღეგრძელა მასპინძელი და ღვინო დალია. ნინომ აღუთქვა: ბავშვები მიყვარს და დათას ხელი არაფერში მოაკლდება, თავის დროზე დავუკერებ, დავურეცხავ და საჭმელიც ხომ ძლომაზე ექნებაო.



დავუკერებ, დავურეცხავ, და საჭმელიც ხომ ძლომაზე ექნება.

მეორე დილას ნინომ დათა გაალვიძა, აჭამა და მეზობლის ბიჭს — დათას ტოლ სანდროს გასძახა, — აქ მოდიო. სანდრომ მოირბინა. დათა გაიცნო, ახლადგაცნობილი ამხანაგი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— დღეიდან ამხანაგები იქნებით.—უთხრა ნინომ ბიჭებს — ერთად აძოვებთ და ერთადვე მოხვალთ სახლში.

სანდრომ არაფერი უპასუხა. ნინომ სადგომიდან ღორები გამოუშვა, ისინიც გამოცვივდნენ და ჩვეული გზით მოკურცხლეს. სანდრო სახლში გაძუნძულდა, ჯოხი აილო ხელში. გამოვიდა გზაზე, და პატარა ბიჭები ღორებს გაჰყვნენ.

დათა დღეს პირველად მიდიოდა ღორების სამწყემსად. პატარა მწყემსები საუბრით უკან მისდევდნენ გაქცეულ ღორებს. სანდრო უხსნიდა ჭრელოსა და კუდა ღორის ონავრობას და აფრთხილებდა ბოსტანში არ გადაგეპარონო: „იცოდე, ნესვ-ყარფუზის ბაღში არიან დაჩვეულები და, თუ ყოჩაღად არ დაუდექი, როგორც ხოხბის ბარტყები, ისე გაგეპარებიან თითო-თითოდ“.

ანწლიანში ღორები აქეთ-იქით დაიქსაქსნენ და დანდურს გამალებით დაუწყეს ჭამა.

დათა მალე შეეჩვია თავის სამუშაოს. სანდრომ დათას მეზობელი მწყემსი ბიჭებიც გააცნო და ხშირად ერთად თამაშობდნენ ხოლმე. სანდრო თავის მეგობარს ყველა საიდუმლოს ანდობდა, სახლიდან ჯიბით წამოღებულ ხილს უყოფდა. არაფერს არ უმალავდა. თანდათან დათო თავის ძმა თურმანზე უფრო მეტად შეუყვარდა. არც დათა რჩებოდა ვალში თავის ერთგულ მეგობარს. თუკი რამ ჰქონდა, თუკი რამ შეეძლო.

* * *

ანწლიანებს პატარა წყალი ჩამოუდიოდა, სადაც ბატები და ღორები გამუდმებით ჭყუმპალაობდნენ და ამღვრევდნენ. ამ წყლისაგან აქა-იქ ჭაობები იყო, სადაც ბევრი მალარიის კოღო ბუდობდა.

მაისი გავიდა, მაისს ივნისი მიჰყვა. ბუნება უფრო გამოცოცხლდა, მაგრამ დათას ლოყებმა ფერი იცვალეს. მალარიამ ჩასჭიდა ხელი და ციებ-ცხელება შეჰყარა. დილა ადრიანად. როცა სახლიდან გამოდიოდა, თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ. როგორც კი მზე წამოიწევდა და ხეების ჩრდილი შემოკლდებოდა, პატარა მეღორეს შეაჟრჟოლებდა, შეაციებდა და მოუმატებდა სიცხეს. საწყალი ბიჭი ადგილს ველარ პოულობდა. არაქათგამოცლილი ხან ანწლის ძირას წამოწვებოდა და კანკალებდა, ხან ხის ჩრდილში მიეგდებოდა. როცა ძალიან მაღალი სიცხე ჰქონდა, ნახევრადმძინარე ბორგავდა, ოხრავდა, ბოდავდა...

სიცხისაგან გავარვარებულს წყალი სწყურდებოდა, კანკალით და ბარბაცით დგებოდა, ბატებისაგან და ღორებისაგან ამღვრეულ მონადენ წყალს სვამდა. სვამდა და არავინ ეუბნებოდა, რომ ეს წყალი მას ბოლოს მოუღებდა. სანდრო ხანდახან მიირბენდა მეგობართან, ჩამოჯდებოდა, ორიოდე ტკბილ სიტყვას ეტყოდა, უპატრონოდ მიტოვებულ ღორებს კი ვერაფერს უხერხებდა და ისინიც მეზობლის ბაღ-ბოსტნებში გარბოდნენ, აჩანაგებდნენ.

როცა დათა ცოტა უკეთესობას იგრძნობდა, წამოდგებოდა. ხან ერთ ბუჩქში ჩაიხედავდა, ხან მეორეში... ღორებს ეძებდა, მაგრამ ვერა პოულობდა და ხელცარიელი, ავადმყოფობისაგან მოთენთილი და განადგურებული სახლში ბრუნდებოდა. შინ მისული კედელთან, ქვაზე ჩამოჯდებოდა, კედელს წელს მიაყრდნობდა. ოხრავდა და ხშირხშირად სვამდა წყალს.

ნინო წუევლიდა და ლანძღავდა პატარა მეღორეს. დაკარგულ ღორებზე მოსთქვამდა. დათას ავადმყოფობაზე კი სიტყვასაც არა სძრავდა. ასე ბინდდებოდა ყოველდღე. საღამოს კი სხვის ბოსტანში გამომძღარი ღორები პატარა გოჭებიანად თვითონ ბრუნდებოდნენ და თავიანთ სადგომში შედიოდნენ. ღორებს ხშირად უკან მოსდევდნენ დაზარალებული ბოსტნის პატრონები და ნინოს ეჩხუბებოდნენ. ორივენი კი ცუდ მწყემსს ლანძღავდნენ და უჯავრდებოდნენ.

* * *

„ათმუხის“ ჩრდილქვეშ მოგროვილიყო საქონელი. მწყემს ბიჭებს შაირობა, სიმღერა. ლახტი გაეჩაღებინათ. დათა მოშორებით. ბუჩქებს იქით, ჩრდილში იწვა, გმინავდა, პირი ეფიცხებოდა და სიცივისაგან კანკალებდა. თავქვეშ ხელი ამოედო. იქვე გაცვეთილი თუშური ქუდი ეგდო, მუხლებთან ცარიელი მათარა იდო. ხშირი თმები აბურძგვნოდა, დიდის ხნის მოუკრეჭავი თმა ყურებზე და თვალებამდე ჩამოზრდოდა. ავადმყოფის გარშემო ხვლიკები დასრიალებდნენ. ჭრიჭინები გაჰკიოდნენ ხის კენწეროებიდან. შორიდან გუგულების კანტიკუნტი წამოძახილები ისმოდა. მუხებქვეშ ბიჭები ყაყანებდნენ. ეს ხმაური დათას ყურებს შემზარავ ქაოტურ გუგუნად ხვდებოდა.

ბიჭების მხიარულ ჯგუფს მიუახლოვდა ლეკბორაანთ ტიტე, რომელსაც სოფელში, სიმკაცრის გამო. გასაბრაზებლად აჯამ ტიტიას ეძახდნენ. სახე მრისხანე ჰქონდა. თავზე ნამჯის ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, თეთრი პერანგი გადაღეღილა. ტიტემ მოსვლისთანავე ბიჭებს მრისხანედ გადახედა, მხრებზე გადებული სახრე ჩამოიღო და ორივე ხელით წრედ მოხარა.

— ვის ეძებ, ტიტე ძიავ? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

— კოტიაანთ მოჯამაგირეს. — ბრაზმორეული ხმით უპასუხა ტიტემ.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. მიხვდნენ საკეთილოდ არ იყო მოსული. ერთმა პატარა ბიჭმა. რომელმაც არ იცოდა ტიტეს არაადამიანური ხასიათი და მოსვლის მიზეზი, გულუბრყვილოდ გაიშვირა ხელი დათასკენ.

— აგერა, იქა წევს, ავად არის.

ტიტე პირდაპირ იქით წავიდა, უკან ცნობისმოყვარე ბიჭები გაჰყვნენ. თავს წაადგა ზურგიდან და ფეხი წაჰკრა.

— ე, მძინარა! ადე ფეხზე, შე ძაღლისშვილო შენა!

დათამ წამოიწია. დაიბნა. ვერ გაეგო. რაში იყო საქმე.

— სად არიან შენი ღორები! — მრისხანედ შეუტია ტიტემ.

დათამ უაზროდ გაიხედ-გამოიხედა და დამნაშავის ხმით უპასუხა:

— ახლახან აქ იყვნენ და...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოქნილი სახრე ზურგზე მოხვდა. ბიჭი ტკივილისაგან დაიკლაკნა და აბლავლდა. პატარა მწყემსებმა ერთმანეთს გადახედეს, იმან კი. ვინც დათას სამყოფელი ადგილი უჩვენა, ტირილი დაიწყო. შეუბრალებელმა კაცმა სახრე ახლა ფეხებში შემოჰკრა. მერე ზურგზე, ხელებში...

ნაცემი ბიჭი ერთი ხელით მიწას დაყრდნობოდა, ჭუჭყიანი პერანგის სახელოთი თვალებს იწმენდდა და სლუკუნებდა. გარშემო თანატოლები იდგნენ და შორს მიმავალ ტიტეს ლანძღავდნენ. დათა შეეცადა მუხლებზე წამომდგარიყო. მაგრამ წამოწევისთანავე ტირილით ისევ მიწაზე

დაეშვა. ტიტეს ისე მაგრად დაერტყა წიხლი დათასთვის, რომ მარცხენა მენჯი აღარ ემორჩილებოდა.

* * *

აგვისტოს ერთ საღამოს თონესავით გავარვარებული დათა ეზოში იწვა და ბოდავდა. მზე ჩასასვლელზე იყო. უცებ. ბავშვს მოელანდა თითქოს მამამ გზაზე სახედრით გაიარა. წამოდგა, გაიხედ-გამოიხედა. წყალი დალია, გამოაღო ლასტის ჭიშკარი. გავიდა და გზას დაადგა. იმ იმედით, რომ სადმე მამას დაწეოდა. ნინო ამ დროს მეზობელთან იყო გასული. როცა შინ დაბრუნებულმა დათა თავის ადგილზე მწოლიარე ვეღარ ნახა, ეზოში გამოვარდა და შორს მიმავალ თეთრტანსაცმლიან ბიჭს მოჰკრა თვალი.

— ხალხო, დაიჭით ე ბიჭი! დაიჭით თეთრხალათიანი, არ გაუშვათ! — იყვირა სიბრაზისაგან ხმაჩახლეჩილმა და გამოუდგა.

ნინო გააფთრებული მივარდა დათას, ხელი მოჰკიდა, შემოაბრუნა. გაბრაზებულმა ისე მაგრა გამოჰკრა მაჯაში, რომ წაბარბაცებული ბავშვი წაქცევას ისევ მისმავე ხელმა გადაარჩინა.

— თუ სახლში წასვლა გინდა, — ამბობდა გაანჩხლებული, — ახლა რა დროს წასვლაა, დაღამდება, გზაში მგლები შეგჭამენ! — მიათრევდა ავადმყოფს ცრუ მზრუნველი.

— სახლში მინდა... სახლში მინდა. — იმეორებდა მტირალი — გამიშვი, შინ უნდა წავიდე!



ეი, მძინარა; ადე ფეხზე, შე ძაღლის ლეკვო, შენა.

* * *

იმ ღამით დათამ უკანასკნელად გაათია კოტიაშვილის სახლში. მეორე დილით ნინომ საიდანღაც გამოაჩინა ძველი ტანსაცმელი. გაცვეთილი ქალამნები და ჯერ კიდევ მწოლიარე დათას მიუყარა.

— გაიხადე ეგენი! ჩაიცვი ეს შენი ჯღანები და საითაც გინდა, იქით წადი!

დათამ უხმოდ გაიხადა ნინოს ნაყიდები, ჩაიცვა კუთხეში მიყრილი ტანსაცმელი, ადგა და გარეთ გამოვიდა.

— სად მიდიხარ დათა? — გადმოსძახა სანდრომ თავის ეზოდან.

დათას სანდროსაკენ არ გაუხედია. უგუნებოდ უპასუხა:

— შინ.

— რათა, დათა? — გაკვირვებით ჰკითხა სანდრომ და ავადმყოფი მეგობრისადმი გულში სიბრალული იგრძნო. მან მეტი ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა.

დათა საკმაო მანძილს იყო გასული. როცა დედამ სანდროს დაუძახა. მას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ერთ ადგილზე მილურსმულივით იდგა. თვალცრემლიანი მეგობარი ფიქრობდა და პასუხის ნაცვლად რაღაცას ლუღლუღებდა. დედა ბავშვთან ახლოს მივიდა. მხარზე ხელი დაადო და ალერსით ჰკითხა:

— რა გატირებს, ბიჭო?

— დათა ავად იყო და სახლში გააგდეს, სახლში...

სანდროს მოულოდნელად გაუელვა აზრმა ამხანაგს დახმარებოდა. უცებ გამოვარდა ეზოდან და დათასკენ გაიქცა, მაგრამ გაქცეული დააკავეს. არ გაუშვეს. ოთახში ჩაკეტილი სანდრო იჯდა კუთხეში და გასტიროდა მეგობარს.

დათამ მარცხნივ გადაუხვია და გაჰყვა გზას. სიცხისაგან გახურებულს პირი უშრებოდა. კაკლის ჩრდილს რომ მიუახლოვდებოდა ხოლმე. ნაბიჯს გჯნგებ ანელებდა. რომ უფრო მეტ ხანს ევლო ჩრდილში. ფეხშიშველა მიაბიჯებდა გახურებულ მტვერში და ფეხები ეწვოდა. თუშურ ნაბდის ქუდში კი მზე ატანდა და თავს უხურებდა.

ნაყანები მინდვრებიდან ხორბლისაგან დასუქებული მწყერების ქვითქვითი ისმოდა. უცხო სოფელში ეზო-ეზო ძაღლები ყეფდნენ. დათა გაჭირვებით მიდიოდა სულ წინ... წინ... რადგან გულში იმედი უღვივოდა. სახლში მისვლის იმედი. იმედი დედის. ძმების და მეზობლების ნახვისა. ეს იმედი მხნეობას მატებდა. ტკივილებს ავიწყებდა. თვალებს უხუჭავდა განვლილ მწუხარებაზე.

ცოტა ხნის შემდეგ საცალოებით და ტომრებით დატვირთული ურემი წამოეწია. მოჭრიალე ურმის კოფოზე ახალგაზრდა მეურმე იჯდა. ურემს უკან შუახნის კაცი მოსდევდა. დათა რომ დაინახა, იცნო. ახლოს მივიდა, სახეზე შეხედა და გაკვირვებით ჰკითხა:

— ბიჭო. შენ ხომ ალექსისა ხარ?

— ჰო, — მოკლედ მიუგო დათამ.

—სად მიხვალ?

— შინ.

დათამ იცნო ძია მიხა და გული მიეცა, იმედი გაუასკეცდა. მიხას და მის მეზობელ შიოს პური ეყიდნათ და ახლა სახლში მიჰქონდათ დაქირავებული ურმით.

— შინ? — გაიკვირვა კაცმა. — როგორ თუ შინ. აქ რა გინდა?

— მოჯამაგირედ დამაყენა მამაჩემმა. ავად გავხდი და შინ მივდივარ. — უგუნებოდ ეუბნებოდა დათა და უღონო ფეხებს ნელა მიათლასუნებდა ღრმა მტვერში.

მიხამ სიბრაზისაგან გადააფურთხა:

— ტფუ! ეს სიცოცხლეა? — თქვა მან და მეურმეს გასძახა: — ფიფო, ურემი დააყე!

ურემი გაჩერდა.

— ცოტა თავმძიმეა და უკან დასვი. — უთხრა ფიფომ.

დაღლილი დათა მიხა ძიას დახმარებით ურემზე აბობღდა, ერთ საცალოს წელი მიაყრდნო და მარჯვენა ხელი ურმის ჭალს ჩაჰკიდა.

* * *

მზე ჯერ არ იყო ჩასული, რომ მიხამ რკინიგზასთან დათა ურმიდან ჩამოსვა და უთხრა:

— შვილო, ჩვენ ახლა აი. ამ გზით უნდა წავიდეთ, — და დასავლეთისკენ გაიშვირა ხელი. — შენ კი დაადექ ამ გზას და სულ პირდაპირ იარე.



დედა იმდუღრებოდა და სწყევლიდა თავის ლოგინად ჩავარდნილ ქმარს.

ბიჭი თვალს მიეფარა ორღობეში.

მზე ახლად იყო ჩასული, როცა დათამ თავისი სახლი დაინახა. დედამ თვალი მოჰკრა დათას, ელდანაკრავივით გაქანდა მისკენ და გულში ჩაიკრა. მეზობლის დედაკაცები გამოცვივდნენ. მტირალი დედის გარშემო გოგო-ბიჭებიც მოგროვდნენ. დედამ ბავშვი დერეფანში ტახტზე დასვა. ბავშვები თვალმოუცილებლივ უცქერდნენ ამხანაგს. მოდიოდნენ და მოჰქონდათ ლელვი, ქლიავი, ატამი... დედა იმდუღრებოდა და წყევლიდა თავის ლოგინადჩავარდნილ ქმარს — ამ ყოფაში რად ჩამიგდეო ბიჭი.

დათა ჩრდილს დაემსგავსა. მისი გამოჯანმრთელების იმედი ყველამ დაკარგა... მალე ოჯახში უბედურება დატრიალდა, — ალექსი გარდაიცვალა. დამწუხრებული დედა შვილსა და ქმარს ტიროდა.

* * *

ამ ამბის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. ვარდისუბანში ჩალური ქოხები გაქრა. ჭაობები ამოაშრეს. მოისპო მალარია. სახე იცვალა სოფელმა. ხალხიც გამოიცვალა.

თბილისიდან ვარდისუბნისაკენ მიმავალ ავტობუსში, მძღოლის უკან, ორი შუახნის კაცი საუბრობდა. ერთი მათგანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორი ლადო ჩიკვაიძე იყო. მანქანა ვარდისუბნის სასადილოსთან შეჩერდა და მგზავრები გადმოვიდნენ.

ჩიკვაიძემ და მისმა მეგობარმა მარჯვნივ შეუხვიეს და ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდნენ. ლადომ ათი წლის ბიჭუნას მოჰკრა თვალი, დაუძახა და ჰკითხა:

— სად შეიძლება სანდრო კოტიაშვილის ნახვა?

— ეს სწორედ მისი სახლია. — უპასუხა ბავშვმა.

ამ დროს, აივანზე პირხმელი კაცი გამოვიდა.

— ვის კითხულობთ? — მიმართა მან.

ლადომ მეგობარს გადახედა და თვალი ჩაუკრა, სანდროს კი უპასუხა:

— ცოტა ხანს დაბლა ჩამობრძანდით.

სანდრო კოტიაშვილი, კოლმეურნეობის ფერმის გამგე, ჯანლონით სავსე კაცი იყო.

— ძალიან პატიოსანი, — უპასუხა კოტიაშვილმა, ჩამოვიდა და ლადოს გვერდით დადგა, მაგრამ გულში არ ეამა უცხოების უდროოდ გამოცხადება.

ლადოს მეგობარს საზაფხულო, ფარფლებიანი ქუდი ეხურა. მკლავზეც საზაფხულო პალტო გადაედო. სახე მოღუშული ჰქონდა. როცა ეს კაცი სანდროს გადახედავდა, კოტიაშვილის გულს შიშის ტალღა ჩაუქროლებდა ხოლმე და მთელ სხეულში ჟრუანტელი უვლიდა. ისინი გზაზე ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, ლაპარაკობდნენ, ეკითხებოდნენ ამ მთისას, იმ ბარისას და თხოულობდნენ პასუხს. ისიც პასუხობდა, გულში კი ისეთი შიში შესახლებოდა, თითქოს ათი მაკე ძროხის დაკვლას აბრალებდნენ.

ამ მძიმე ფიქრებისაგან კოტიაშვილს ხასიათი წაუხდა, გუნება დაუმძიმდა, რატომღაც წარმოიდგინა რომ დააპატიმრებდნენ და დაღუპავდნენ. რატომ? რისთვის? რას ერჩოდნენ?

ისინი სასადილოს მიუახლოვდნენ, შიგ შევიდნენ და კუთხეში მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

სადილების მომტანმა, შეპირებისამებრ, ლადოს დანახვაზე მთელი მაგიდა გემრიელი საჭმელებით გაავსო. ლადო სკამზე გასწორდა, თავის მეგობარს ეშმაკურად გადახედა და სანდროს პირდაპირ მიმართა:

— კოტიაშვილო, რასაც შეგეკითხებით, სწორად უნდა გვიპასუხო! ტყუილი არა თქვა!

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, ვიტყვი, რაც ვიცი. — უპასუხა მან.

— ერთი მითხარით, — მიმართა სანდროს ლადოს მეგობარმა სიჩუმის შემდეგ. — იცნობდით თუ არა ნინო კოტიაშვილს?

— როგორ არა, ვიცნობდი.

— მოჯამაგირე ხომ არა ჰყოლია?

— როგორ არა, ჰყავდა, მაგრამ ეს ოცდაათი წლის წინათ იყო. საწყალი ბიჭი! ახლაც მახსოვს მისი მკრთალი, შესიებული სახე. ციებ-ცხელებით დაავადებული, სახლში მიმავალი რომ დავინახე, ვერ მოვითმინე და ავღრიალდი... მაგრამ რას ვამბობ, თქვენ ხომ არ იცით, ვისზე ვლაპარაკობ.

— რა გატირებდა! — გაიკვირვა ლადოს მეგობარმა.

— ამხანაგი იყო, ერთად დავდიოდით, ღორებს ერთად ვწყემსავდით. ძალიან მიყვარდა. ვარდისუბნიდან წასვლის შემდეგ ჩვენს სოფელში ერთი იქაური კაცი იყო და დედაჩემს უთხრა: სახლში მისვლის შემდეგ მალე გარდაიცვალაო.

— გარდაიცვალაო? — გაიკვირვა უცნობმა.

— ბიჭებო, მოდით მართალ კაცს გაუმარჯოს. რას იტყვი, სანდრო? — თქვა ლადომ, სავსე ჭიქა ხელში აიღო და გაიღიმა.

სანდრო ბურუსში იყო და არ იცოდა რა ეთქვა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა.

— არაფერს არ ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ,



ბოლოს, როცა დამშვიდდა, ისევ დაჯდა და ღიმილით მიმართა მოსულებს

რომ მე ვერც ღვინოს დავლევ და ვერც საჭმელს შევჭამ.

— ვითომ რატომაო? — იკითხა ლადომ ღიმილით.

— იმიტომ, ძმაო, რომ ჩემს გარშემო ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული. თქვენ მე ვერ მიცნობთ, მე თქვენ.

ოცდაათი წლის წინანდელ ამბებს მეკითხებით. თანაც ღვინოსა და პურ-მარილს მთავაზობთ. ჯერ გამაგებინეთ ვინა ხართ და რა გინდათ! — ენა ამოიდგა კოტიაშვილმა, თითქოს იგრძნო, რომ მტრებთან არ ჰქონდა საქმე.

— სანდრო, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა გწამს? — მოესმა ფიქრში წასულს ლადოს ხმა.

— არა, არა მწამს!

— მაშ, მკვდარი, დიდი ხნის გარდაცვლილი კაცი რომ გაჩვენო ცოცხლად, არც მაშინ იწამებ? არც მაშინ დაიჯერებ მკვდრეთით აღდგომას?

— არა, არ დავიჯერებ.

— მე შემომხედე, — მიმართა სანდროს ლადოს ამხანაგმა, — ხომ არ გეცნობი?

— არა, ძმაო, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავხარ.

— სტყუი, — ღიმილით უთხრა უცნობმა. — აბა, კარგად დამაკვირდი და დაფიქრდი. მაშ არ გეცნობი? ან ხმა, ან ლაპარაკი, ან სახე, — არაფერი გეცნობა ჩემში?

— არა და არა! — დაჟინებით თავისას გაიძახოდა სანდრო.

ლადომ ჩუმად კიდევ რაღაც გადაულაპარაკა თავის მეგობარს და ბოლოს თქვა:

— ბიჭო, საკმარისია ამდენი ხუმრობა და კომედიის გათამაშება, ყველაფერი გულახდილად ვთქვათ: აი, ეს კაცი, რომელიც შენს წინ ზის, ის პატარა დათაა, კოტიაშვილმა ძველი ტანსაცმლით ერთ დილას რომ გაისტუმრა და შინ მისული გარდაიცვალა...

სანდრო ელდანაკრავივით ფეხზე წამოხტა, უკან დაიხია, ორივე ხელი სახეზე მიიდო, თვალებზე ხელი გადაისვა, ხმა ვეღარ ამოიღო... მივარდა და ფეხზე ამდგარ დათას მიეხვია.

ბოლოს, როცა ცოტა დამშვიდდა, ისევ დაჯდა და ღიმილით მიმართა მოსულებს:

— ამ მანძილზე რაღას მატარებდით, თქვე დალოცვილებო, სახლში წყალი მედგა?

ცოტა ხანს გაჩუმდა, თვალები დათას მიაპყრო და გაიმეორა: — როგორ, როგორ მოხდა შენი გადარჩენა, მითხარი, როგორ...

— საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ვუმადლოდე, ჩემო სანდრო, მან მიშველა და კაცად მაქცია.

სანდრო იატაკს ჩასჩერებოდა, თავს აქნევდა, თვალზე უნებურად მომდგარ ცრემლებს დაკოჟრილი ხელით იწმენდდა. დიდი ხნის წარსულს თითქოს ხელმეორედ უბრუნდებოდა და ბურანში წასულივით წარამარა იმეორებდა:

— მაშ დათა ხარ, კაცო, შენა? მკვდრეთით აღდგომაა, მა რა ეთქმის ამას? დიდება შენდა, ღმერთო!..

## წყალმცენარე — სასუქი

სასუქების გრძელ სიაში, რომლებიც მიწას გამოფიტვისაგან იცავენ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პარკოსანთა ბაქტერიებს. ამ ერთი ციცქნა არსებებს უნარი აქვთ შეისრუტონ და ორგანიზმში დაიგროვონ დიდი რაოდენობის აზოტი. ამიტომ, როდესაც ეს ბაქტერიები იხოცებიან, მიწა აზოტოვანი სასუქით ნაყოფიერდება.

რამდენიმე წლის წინ გამოირკვა, რომ მწვანე-მოლურჯო წყალმცენარეები თურმე აზოტით იკვებებიან. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკოსებმა. მათ გულმოდგინედ შეისწავლეს მრავალი წყალმცენარე და გამოარკვიეს, რომ ზოგიერთი მათგანი დღემდე გაუგონარი რაოდენობით ითვისებს აზოტს. გაამრავლეს ეს წყალმცენარეები ჯერ ლაბორატორიაში, შემდეგ მინდვრებში და შესანიშნავი შედეგი მიიღეს.

ცნობილია, რომ ბრინჯის მოსაყვანად აუცილებელია დათესილი მინდორი მთლიანად წყლით იყოს დაფარული. ამ პირობებში მიწის ბაქტერიები, რომლებიც ატმოსფერული აზოტით იკვებებიან, ვერ ცოცხლობენ. ამიტომ ბრინჯი, რომელიც ბევრ აზოტს საჭიროებს, ცუდად ხარობს, კარგ მოსავალს ვერ იძლევა, მაგრამ წყლით დაფარულ ველებზე ლაღად გრძნობენ თავს წყალმცენარეები. ისინი სწრაფად მრავლდებიან და სიცოცხლის პერიოდში განუწყვეტლივ ითვისებენ აზოტს, სიკვდილის შემდეგ ლპებიან, ხოლო აზოტი განსაკუთრებული ქიმიური შენაერთის სახით ბრინჯის მასაზრდოებელი ხდება.

გ. ბურჯანაძე





# უჩვეულო ძალა

ფილიპ
დელ-კრიდი
ნახ. გ. თოთიბაძისა

სატვირთო გემზე, ზღვაში გატარებული ექვსი კვირა დამქანცველი აღმოჩნდა და ძალიან გავიხარე, როცა დავინახე მდინარე, რომლის ავლით კალკუტაში უნდა მივსულიყავით და ამით ჩვენს მგზავრობასაც ბოლო ეღებოდა.

ხშირი წვიმების შემდეგ მდინარე ადიდებულიყო. ნაპირზე ჩამწკრივებული ხეების ტოტები თითქმის ეხებოდნენ ჭუჭყიან, აქაფებულ წყალს. მდინარის პირას, წყალში ჩარჭობილ მაღალ ბოძებზე, პალმის ტოტებით გადახურული ქოხები იდგა. „ნეტა რა ხალხი ცხოვრობს ამ სადგომებში?“ გავიფიქრე და, თითქოს პასუხადო, ვიღაცის ხმა გაისმა:

ეს მეთევზეთა ქოხებია. საოცარი ბინებია, არა? ისინი აქ ძალიან ბევრია. და, ჩემი პასუხის მიუღებლად, ხმა განაგრძობდა: — საოცარი ქვეყანაა ინდოეთი, იგი აღსავსეა მოულოდნელობით, მასიური რიტუალებითა და რელიგიური წესებით. მართალია, კალკუტა თანამედროვე ქალაქია, მაგრამ საკმარისია გახვიდე მის გარეთ და მაშინვე აღმოჩნდები რაღაც გრანდიოზულისა და სამყაროსავით ძველის წინაშე.

ერთხელ, ინდოეთის ყველაზე ლამაზი შტატის — რაჯპუტანის ერთ სოფელში შევჩერდი. ღამის გასათევად ხირა ლალას გლეხურ ქოხში დავრჩი. მასპინძელმა ვახშმად კარრი * მოგვართვა. ვახშამს რომ მოვრჩით, ლალას ცოლმა, რამამ მოიბოდიშა, მაგიდას მოშორდა და იქვე, ქოხის კუთხეში რაღაც იდუმალი საქმით გაერთო. ამ დროს ცოლ-ქმარი განსაკუთრებულად მდუმარე გახდა. მეგონა — რამა ჩემთვის გაუგებარ, რომელიღაც რელიგიურ რიტუალს ასრულებდა, მაგრამ, როცა დავინახე, რომ იგი თიხის ჯამში რძეს ასხამდა, მივხვდი, რომ შევცდი. საოცარია: ლალას შვილებმა დიდი ხანია რაც ივახშმეს და ოთახის მეორე კუთხეში ეძინათ; ვისთვისღა მზადდებოდა ეს ულუფა? სამი წლის ბიჭუნასათვის — ცოტაა, გოგონას, — ჯერაც არ მიეტოვებინა დედის ძუძუ? მაშ, რაშია საქმე?

გამეფებულ სიჩუმეში რამამ ოთახი გადასერა და კარების მახლობლად, საკმაოდ დიდ ხვრელთან დადგა რძიანი ჯამი. ამის შემდეგ ცოლ-ქმარმა რაღაც ლოცვა წაიმღერა.

ხირა ლალამ ჩემი გაოცებული სახე რომ შენიშნა, მომიახლოვდა, სკამზე დაეშვა და მითხრა:

— ეს რაკხევალის ულუფაა.— ვითომდა ეს სიტყვები რაიმეს მიხსნიდნენ.

— ეშმაკმა დალახვროს! ეს ვინღა არის?

ლალამ იწყინა, მაგრამ მაინც ამიხსნა მოთმინებით:

— რაკხევალი,— ეს კობრაა!

კობრას ხსენებაზე ძლიერ შევკრთი; მასპინძელმა შემატყო და დასამშვიდებლად მხარზე დამადო ხელი.

— ნუ შიშობთ,— სთქვა მან.— კობრა მეგობრებს არაფერს ვნებს, მაგრამ...— ეს „მაგრამ“ და დაუმთავრებელი წინადადება არ მომეწონა, გარდა ამისა, საერთოდ ვერ ვიტან კობრებს.

ჩვენ გვჯერა,— სთქვა ლალამ,— რომ კობრა ბოროტებისაგან გვიცავს და სამაგიეროდ სულ მცირედს გვთხოვს.

— კერძოდ რას?— ვიკითხე ჩურჩულით და თვალი ვეღარ მოვაშორე ხვრელს, საიდანაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სიკვდილის შემოსვლა.

---

* კარრი—ინდური კერძია, ძალზე ცხარე წვენით შეკაზმული ხორცის ნაჭრები და ბრინჯი.

რძეს, — უბრალოდ სთქვა მან. — ჩვენ მას ყოველდღე ვაძლევთ რძეს და მან იცის, რომ ჩვენ მისი მეგობრები ვართ. ასეთია ჩვენი ძველი ჩვეულება ამ მხარეში.

მეხსიერება სუსტი მაქვს, მაგრამ ამ სიტყვებმა თითქოს რაღაც უკვე გაგონილი თუ წაკითხული მომაგონეს... ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი თუ ამ ამბავს მე თვითონ წავაწყდებოდი.

— კი მაგრამ, ბავშვები? — უცებ წამოვიძახე,— ისინი ხომ ყოველთვის აქ იძინებენ.

ხირა ლალამ გაიცინა, ჩემი სიტყვები მხიარულ ხუმრობად მიიღო.

— საქმეც მაგაშია. ჩვენ ყოველთვის კობრას მეთვალყურეობის ქვეშ ვტოვებთ ბავშვებს. რაკხეველი ჩვენი ბავშვების „აიაა“ ძიძაა. დღეს მას ორმაგი ულუფა მივეცით.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ ხვალ მე და თქვენ სანადიროდ მივდივართ, ჩემი ცოლი და ბევრი ჩვენი მეზობელი ქალაქში მიემგზავრებიან და გვიან საღამომდე არ დაბრუნდებიან. ბავშვებს კი, ჩვენს მოსვლამდე, რაკხეველი უგდებს ყურს.

ამ უჩვეულო განმარტებამ, რომელიც წყნარად და დამაჯერებლად ითქვა, საშუალება აღარ მომცა რაიმე საწინააღმდეგო მეთქვა.

თითქმის მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, ვიწექი გაუნძრევლად და შევცქეროდი შორეული ვარსკვლავებით განათებულ ქოხის კედლებს. რაღაც საშინელის მოლოდინში ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ჩამეძინა...

საზარელმა ხმაურმა გამომაღვიძა.

— მისტერ მილენ, არ გაინძრეთ, — თითქმის უხმოდ ჩაიჩურჩულა ხირა ლალამ.

შიშისაგან გული შემეკუმშა, ჟრუანტელმა დამიარა, გავირინდე, სუნთქვა შემეკრა. უცებ, წყნარი, ჩუმი შრიალი და სისინი მომესმა. ეს იყო კობრა... შეშინებულმა ისე მაგრად შევკუმშე მუშტები, რომ ფრჩხილები ხორცში შეიჭრნენ.

ხირა ლალამ წყნარი ღიღინი დაიწყო. საოცარმა მელოდიამ ყოვლად დაუჯერებელი ზეგავლენა იქონია გველზე. შრიალი თითქმის მთლიანად შეწყდა, სისინი კი კვლავ ისმოდა. ლალამ ხმას უმატა. გაიარეს წამებმა, — ახლაც არ მახსოვს რამდენმა, — ვიდრე გავიგებდი, რომ ლალა სიმღერით მშორდებოდა და ქოხის სიბნელეში ნელა მიიწევდა. კობრას სისინი მიწყნარდა. ფხაჭუნისა და გამაყრუებელი ხმების შემდეგ აკიაფდა ასანთი, ალაპლაპდა ლამფა და ოთახის სიბნელეც გაქრა. მიწის იატაკზე, სამზარეულო ჭურჭლის ნამსხვრევებს შორის, სიმწრისაგან გაჭიმული, განზე გადაყრილი ხელებით, უცხო კაცი ეგდო. იგი მკვდარი იყო. იქვე, სრულიად უვნებელი, პაწია გოგონა იჯდა და დიდი, შავი თვალებით წყნარად შემოგვცქეროდა. მიწის იატაკზე გაშხლართულ გვამზე კი ამაყად ირწეოდა გაავებული კობრა.

გველების საკითხში სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ უეჭველად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ეგრეთწოდებული სამეფო კობრა იყო და თან ყველაზე დიდი მათ შორის, რომლებიც ოდესმე მენახა.

კობრა ძლიერ გაბოროტებულიყო, კისერს ბერავდა და ამის გამო მისი თავი საოცრად პატარა ჩანდა. მისი წვრილი გაშეშებული თვალები, რომლებიც თითქოსდა მე მიცქეროდნენ, საოცრად ჰგავდნენ ბეჭდის თვლებს, ხოლო პატარა, გაორებული ენა სწრაფად ულაპლაპებდა შხამიან ყბებს შორის.

ხირა ლალამ ჯამში რძე ჩაასხა, შემდეგ ყელიდან რაღაც საოცარი ხმები ამოუშვა და ასე თანდათან გაიტყუა ქოხიდან გველი.

როცა ლალამ გვამი დაათვალიერა, თითქოს პირველად შეამჩნიაო, მე შემომხედა და მკითხა:

— ეს კაცი ვინ არის? მე მას არ ვიცნობ, აქ რას აკეთებდა?

ვერაფერი ვუპასუხე. ყველაფერი მხოლოდ მაშინ გაირკვა, როცა ლალამ მეორე ბავშვის ძებნა დაიწყო. ბიჭუნას საწოლი ცარიელი იყო. ანგრეულ ლოგინში ლალამ წერილი იპოვა. ყველაფერი ნათელი გახდა; ავაზაკებმა სახლი გაქურდეს და თან ბავშვიც გაიტაცეს.



იგი მკვდარი იყო. იქვე... ამაყად ირწეოდა გაავებული კობრა.

ყოველივე ამაში უჩვეულო არაფერი იყო. იმ მიდამოებში ავაზაკების მრავალი ჯგუფი დაძრწოდა. ისინი ბავშვებს იტაცებდნენ და გაუბედურებულ მშობლებს გამოსასყიდს ახდევინებდნენ. უჩვეულო მხოლოდ კობრას მოქმედება იყო. იგი, ბავშვების გადარჩენის მიზნით, გაშმაგებით ეცა ავაზაკს და სწრაფად გამოასალმა სიცოცხლეს. სამწუხაროდ, მისმა თანამზრახველმა მოასწრო, ბავშვი გაიტაცა და კობრას შხამიან კბილებსაც თავი დააღწია.

ეჭვგარეშე შეიძლება ითქვას, რომ გველი ჩინებულად სცნობდა ბინის პატრონებს, ოჯახის მეგობრებს და კარგად ანსხვავებდა მათ მტრებისაგან; იცოდა, რომ საჭიროა ბავშვების დაცვა. გვამი, რომელიც მიწაზე ეგდო, ოჯახის მეგობარი არ იყო. იგი ავაზაკი, მძარცველი იყო.

ქოხის ირგვლივ მეზობლები შეგროვდნენ. დასტიროდნენ დაკარგულ ბავშვს და ბევრს კამათობდნენ, რა ღონე ეხმარათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ავაზაკების მიერ დატოვებულ წერილში ნათქვამი იყო, რომ გამოსასყიდი ფული საჭიროა დანიშნულ ადგილას მიიტანონ ჯუნგლებში. ეს ადგილი სოფლის ჩრდილოეთით, თორმეტი, მილით იყო დაშორებული. იმ თანხის შოვნა, რომელსაც ავაზაკები მოითხოვდნენ, ლალას არ შეეძლო. მთელი მისი სიმდიდრე იმ იაფფასიანი სამკაულებით განისაზღვრებოდა, რომელიც ავაზაკებმა ბავშვთან ერთად გაიტაცეს. ხირა ლალას რომ გაეყიდა სახლიც, მიწაც და ყელამდე ვალებში ჩაფლულიყო, მაინც ვერ შეაგროვებდა იმ თანხას, ავაზაკები რომ მოითხოვდნენ. ლალა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა; რაიმე დახმარების გაწევა მე არ შემეძლო.

ხირა ლალამ გამოსავალი მაინც იპოვა...

ავაზაკების მოთხოვნით ლალა სრულიად მარტო, ყოველგვარი იარაღის გარეშე უნდა მისულიყო ბავშვის წასაყვანად და თან მხოლოდ ფული უნდა ჰქონოდა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ავაზაკები მაშინვე დაუწყებდნენ თვალთვალს ლალას, როგორც კი იგი ჯუნგლებში შევიდოდა. ის არამზადები გაქნილები იყვნენ; საკუთარი ხუთი თითივით იცნობდნენ იმ მიდამოებს. მაგრამ, ეტყობოდა, ზოგი რამ მათ მაინც გამორჩათ შხედველობიდან და სწორედ ამით ისარგებლა ლალამ...

იგი მარტო წავიდა... თვალი გავაყოლე... წელში გამართული მიდიოდა, მის ბრინჯაოსფერ კანქვეშ მსუბუქად მოძრაობდნენ კუნთები. მხარზე გადებულ ჯოხზე პატარა ბოხჩა წამოეგო და ისე მიჰქონდა. ბოხჩაში კი ბავშვის ტანსაცმელთან ერთად კობრა — რაკხევალი ჩაესვა.



რა მოხდა ჯუნგლში გვიან გავიგე. მაშინ კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მეგობარს უკანასკნელად ვხედავდი...

მალე მიაღწია ლალამ პატარა მინდორს, სწორედ იმ ადგილს, წერილში რომ იყო აღნიშნული. ლალა შეჩერდა და დაიყვირა. დაბურულ შამბნარიდან მაშინვე გამოეხმაურა მამაკაცის ხმა, რომელმაც უბრძანა ლალას აეწია ხელები და კიდევაც გაევლო ერთი ფურლონგი *. ხმა ყრუდ ისმოდა. ლალა მიხვდა, რომ ავაზაკები ჯერ საკმაოდ შორს იყვნენ და, ვიდრე მათ ბრძანებას შეასრულებდა, სწრაფად ამოიყვანა ბოხჩიდან კობრა, აყნოსვინა ბავშვის ტანსაცმელი და ისე გაუშვა.

თუ როგორ ახერხებდა ლალა ყოველივე ამას, ეს მე არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ცხადია: კობრა არასოდეს არ ერჩოდა იმ ადამიანებს. რომელთა სახლშიც იგი ცხოვრობდა.

იგრძნო თუ არა კობრამ თავისუფლება, მაშინვე გასრიალდა ბალახზე იქით, საიდანაც ხმები ისმოდა. ლალა გველს გაჰყვა, მაგრამ ვერც კი მოასწრო ფურლონგის გავლა, რომ ჯუნგლების სიმშვიდე საშინელმა ხმაურმა გააპო, დამფრთხალმა თუთიყუშებმა ადამიანივით იწყეს ოხვრა-კვნესა, შემდეგ ფრთები გაშალეს და შამბნარში მიიმალნენ. ხირა ლალა ადგილს მოსწყდა, სწრაფად მიირბინა ტაფობზე, იქ კი იარაღასხმული ერთი ავაზაკი უკვე მკვდარი ეგდო, ხოლო მეორე, კვნესოდა და სიმწრისაგან იგრიხებოდა მიწაზე. ლალას შვილი იქვე იყო. იგი ტიროდა, მაგრამ ჩანდა სრულიად უვნებელი იყო. გვამებსა და შეშინებულ ბავშვს შორის კი ამაყად აეწია თავი გამარჯვებულ კობრას და ნელა ირწეოდა.

ხირა ლალამ ბავშვი ხელში აიტაცა და მეტი სიხარულისაგან ატირდა. ალერსით გადაუსვა თავზე ხელი კობრას, ისიც აიყვანა და სიცილ-ტირილით ორივე სახლში წაიყვანა.

ლალამ ვერ იპოვა მძარცველების მიერ მოპარული სამკაულები, მაგრამ სამაგიეროდ შვილები იხსნა. ავაზაკებმა კი ბოროტ ზრახვებს სამი კაცის სიცოცხლე შესწირეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამბის შემდეგ ვერცერთი ავაზაკი ვეღარ გაბედავდა ხირა ლალას სახლთან მიახლოვებას.

საჭირო აღარ არის გიამბოთ, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ სოფლის მცხოვრებნი კობრას; კვებავდნენ მას ვირთხებით, კვერცხებით, რძით. კობრა რაკხევალი ოფიციალურად იქნა აღიარებული „სოფელ გუნსპურის მთავარ მფარველად“.

თარგმნა **თ. სახაროვმა**

---

* ფურლონგი — დაახლოებით 200 მეტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლდეში ნაკვეთი ქალაქი



საქართველო თავისი მდებარეობითა და სილამაზით ბუნებრივ მუზეუმს წარმოადგენს. ამ მუზეუმს საუკუნეების მანძილზე ამშვენებდა და ამშვენებს ქართული კულტურის ძეგლთა სიუხვე და მრავალფეროვნება.

მესხეთის უძველეს მიწაზე მდებარეობს XII საუკუნის სწორუპოვარი ძეგლი ვარძია. დიდებული სანახაობაა კლდეში ნაკვეთი ქალაქი—ვარძია, რაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე 500 მეტრი სიგრძისა და 105 მეტრი სიმაღლის კლდოვან ქარაფზე 3-დან 13 სართულამდე არის გამოკვეთილი.

ისტორიული გადმოცემებისა და ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების საფუძველზე მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ვარძიის გამოკვეთას საფუძველი ჩაეყარა XII საუკუნეში, როდესაც საქართველო ერთი ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო იყო აღმოსავლეთში. სწორედ ამ დროს დავით აღმაშენებლის შვილიშვილის, საქართველოს მეფე გიორგი III ბრძანებით შეუდგნენ ვარძიის მონასტრის კლდეში გამოკვეთას. მაგრამ, როგორც ირკვევა, დაწყებული საქმე ამ მეფის სიცოცხლეში ვერ იქნა დამთავრებული, იგი თამარ მეფემ დაამთავრა.

თამარმა მამის სიკვდილის შემდეგ 1184 წელს ვარძიაში ცენტრალურ ადგილზე ბრძანა ტაძრის მთლიანი მასივისაგან გამოკვეთა. როდესაც ეს ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანა ხუროთმოძღვრებმა წარმატებით შეასრულეს, ქართლის ერისთავმა რატი სურამელმა თამარ მეფის თანხმობით მონასტერი მთლიანად მოახატვინა.

ვარძიაში ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს დახატულია მეფე გიორგი III სურათი. მის გვერდით და უკან მეფე თამარის შესანიშნავი სურათია. თამარს ხელში უჭირავს ვარძიის ტაძრის მოდელი.

მონასტრის კედელზე გამოსახულია ქართლის ერისთავის რატი სურამელის სურათი, რომლის თაოსნობით იქნა მოხატული ტაძარი. მეფეთა სურათების შორიახლოს ტაძრის მომხატველის მხატვარ გიორგის შესანიშნავი ავტოპორტრეტია გამოსახული. იქვე ორი მშვენიერი ყვავილია დახატული. ერთში ჩასმულია ასო „გ“, რაც სახელის—გიორგის აღმნიშვნელია, მეორეში ასევე ჩასმულია ქართული ასო „ჭ“, რაც გიორგი მხატვრის გვარის აღმნიშვნელი ქარაგმა უნდა იყოს. თავმდაბალმა დიდმა ხელოვანმა ეტყობა არ ისურვა თავისი გვარის ჰოხსენიება.

როგორც ირკვევა, მონასტრის შესანიშნავი მხატვრობა ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მხატვარ გიორგის, რომლის გვარი და ვინაობა დღემდე სამწუხაროდ დაუდგენელია.

ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსიდან დღემდე 242 გამოქვაბულმა მოაღწია ჩვენამდე. აქ არის, გარდა ტაძრისა, სადარბაზო, თამარის ოთახი, სალხინო, სახიზრები, საცხოვრებლები, სამეურნეო ნაგებობანი, საჯინიბო ცხენებისათვის და სხვ.

მონასტრიდან მეოთხე სართულში არის დარბაზი, სადაც ალბათ დარბაზობა იმართებოდა. გადმოცემით, აქ თურმე დამნაშავეებსაც ასამართლებდნენ. სადარბაზოს დასავლეთ მხარეზე გვირაბი ადის V სართულზე, სადაც თამარის სამყოფელი ოთახი იყო მოწყობილი. აქედან საიდუმლო გასასვლელებიც ყოფილა. შეიძლება აქ სამეფო განძეულობაც ინახებოდა.

თამარის ოთახის თითქმის თანა-

ბარი დარბაზი „სალხინო“ გამოქვაბულის მერვე სართულშია მოთავსებული. ამ გამოქვაბულს ხალხი დღემდე სალხინოს ეძახის. ამ დარბაზში ასვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს დღეს, თორემ თავის დროისათვის. რასაკვირველია, ასეთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ციხე-ქალაქში არსებული სახიზრები და საცხოვრებელი გამოქვაბულები დიდ როლს თამაშობდნენ ხალხის თავდაცვისათვის ბრძოლაში. ასეთი სახიზრები და საცხოვრებელი გამოქვაბულები ვარძიაში მრავალია. ისინი განლაგებულნი არიან ძირითადად მერვე სართულში, სადაც ასვლა მხოლოდ საამისოდ გაკეთებული გვირაბებით შეიძლებოდა.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რასაკვირველია, უწყლოდ ვერ გაძლებდა. ამიტომაც ჩვენს წინაპრებს, რომელთაც არავითარი სიძნელის არ ეშინოდათ, გვირაბი 5 კილომეტრის მანძილზე კლდეში გაუჭრიათ, სადაც სპეციალურად გამზადებული თიხის მილებით წყალი გამოუყვანიათ. როგორც ირკვევა, წყალი ზედა ვარძიაში მომდინარე წყაროებიდან მოდიოდა. ეს წყარო დღე-ღამეში 207 360 ლიტრამდე აღწევდა.

ზოგიერთ სამეურნეო მნიშვნელობის გამოქვაბულში სღვინე ქვევრებიც კი ჩაუდგამთ. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ აქ ყურძნის დაწურვა და ღვინის დაყენებაც კი ხდებოდა. ვარძიის გამოქვაბულების ცოტა ზევით დღემდე არის რვაასი წლის ვაზი, რომელიც მუდამ მსხმოიარეა და ყურძნის მოსავალსაც იძლევა. ვისმა მადლიერმა ხელმა დარგო ეს ვაზი, დღემდე მიუკვლეველია.

ვარძიის ციხე-ქალაქი თამარ მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.

1204 წელს თურქეთის სულთანმა რუქნადინმა შეკრიბა 400-ათასიანი ჯარი და საქართველოს საზღვრებს მოაყენა. სულთანმა თავის ელჩს თამართან მუქარით აღსავსე წერილი გამოატანა და პირადადაც არასაკადრისი სიტყვები შემოუთვალა.

სულთანის წერილიდან თამარმა დაასკვნა, რომ რუქნადინი საქართველოში შემოჭრას აპირებდა. თამარმა ბრძანა ჯარის შეკრება ვარძიაში, სადაც თვითონაც მოვიდა. საქართველოს ჯარი თამარის თანამეცხედრის დავით სოსლანის მეთაურობით მართლაც შეიკრიბა ვარძიაში. თამარმა ჯარი დალოცა, სამეფო დროშა დავით სოსლანს გადასცა და მტერზე გალაშქრება უბრძანა.

ქართველთა ჯარი გრიგალივით გაიჭრა და ბასიანში თავს მეხივით დაატყდა გათავხედებულ მტერს. სასტიკ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად. მტერზე გამარჯვებული ქართველები ისევ ვარძიაში მივიდნენ. აქ თამარი გახარებული დახვდა თავის უძლეველ მხედრობას.

1210 წელს, როდესაც დავით სოსლანი უკვე ცოცხალი აღარ იყო, თამარ მეფე ისევ ვარძიაში მივიდა და ბრძანა იქ ქართველთა ლაშქრის შეკრება. ამ ჯერად თავის მხედრობას სპარსეთზე გალაშქრების ბრძანება მისცა. მან ჯარი დალოცა. ქართველებმა გაილაშქრეს სპარსელებზე და იქიდანაც გამარჯვებულნი დაბრუნდნენ სამშობლოში.

1283 წელს საქართველოში არნახული და საშინელი მიწისძვრა მოხდა, რამაც კატასტროფიული ნგრევა გამოიწვია. მიწისძვრას თან ვულკანური ამოფრქვევაც მოჰყვა. მიწისძვრამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა მესხეთ-ჯავახეთს. ამ დროს მთლიანად დაინგრა ციხე-ქალაქი თმოგვი და ცოლ-შვილიანად დაიღუპა კახაბერ თმოგველი. ასევე დაინგრა აწყური და მრავალი სოფელი და ქალაქი. მიწისძვრამ დიდი ზიანი მიაყენა ვარძიასაც. ჩამოიქცა მრავალი გამოქვაბული. XIII XIV საუკუნეებში ქართველებმა ვარძიას ყურადღება მიაქციეს და დაზიანებული ადგილების შემდგომი ნგრევისა და ჩამოქცევის თავიდან ასაცილებლად გაამაგრეს.

სპარსთა ურდოები XVI საუკუნეში მესხეთ-ჯავახეთს კალიასავით მოედვნენ.

სპარსელებს ვარძიის აღება უნდოდათ, თუმცა ამის აღსრულება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. დიდი ხნისა და მრავალი მსხვერპლის გაღების შემდეგ მტრის ჯარი ვარძიის ერთ-ერთ გამოქვაბულში შევიდა. მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ გადასწყვიტა საქმე, ვარძიაც მტერმა დაიკავა. ვარძიის ამ ტრაგედიის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს შაჰ-თამაზის თანამოლაშქრე, სპარსელი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ. იგი წერს: „ხსენებული ციხე აგებული იყო ერთ მაღლობზე, კლდეზე, თმოგვის ხევის პირზე, მდინარეზე, რომელიც მტკვრის სათავეს წარმოადგენს. მიუვალობით ის ალექსანდრე მაკედონელის კედელს და ხეიბერის კოშკს ედრება. სიმაღლით კი ლურჯ ცას“.

მაგრამ მტერმა მაინც შესძლო ვარძიის აღება და გაძარცვა. ირკვევა, რომ სპარსელებს ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ: ერთი ის იყო, რომ ვარძია მიწისძვრისაგან საგრძნობლად დაზიანებული დახვდა მტერს, მეორე ადგილი ჰქონდა ღალატს.

ვარძიის აოხრებისა და თითქმის მთლიანად გაძარცვის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, სულ რაღაც 27 წელიწადი, რომ მთელი მესხეთი თურქებმა ჩაიგდეს ხელში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბატონობდნენ ქართულ მიწა-წყალზე.

მხოლოდ 1829 წელს რუსეთისა და საქართველოს შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა თურქთა ჯარი, და მესხეთი და მასში შემავალი ვარძიაც საბოლოოდ საქართველოს დაუბრუნდა.

ვარძიას სათანადო ყურადღება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია. ჯერ კიდევ 1938 წელს მთავრობის დადგენილებით დაარსებული იქნა ვარძიის მუზეუმი. მას შემდეგ ხელისუფლების დადგენილებითვე გაწმენდილ იქნა ვარძიის გამოქვაბულები, საგრძნობლად გაუმჯობესდა როგორც ვარძიის, ისე სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლინებისა და შესწავლის საქმე.

ამჟამად ვარძიას განაგებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ვარძია საქართველოს მთავრობისა და მთელი საზოგადოებრიობის შეუნელებელი ყურადღებისა და მზრუნველობის ცენტრშია მოქცეული.

ვახტანგ სიდამონიძე



## დაეხმარე უფროსებს საოჯახო საქმეებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

### როგორ დავრეცხოთ ჭურჭელი



მეგობრებო, სანამ ჭურჭლის დასუფთავებას შევუდგებოდეთ, ორი ჯამით ცხელი წყალი უნდა მოვამზადოთ. ერთ-ერთ ჯამში უნდა გავურიოთ ერთი ან ორი კოვზი მდოგვი. ამის შემდეგ ჭურჭელს ჩვრით ამოვრეცხავთ მდოგვიან წყალში და მაშინვე სუფთა წყალში გავავლებთ, რომელიც მეორე ჯამში გვაქვს. გარეცხილი ჭურჭელი სუფთა სახოცით ან სპეციალური საშრობით უნდა გავამშრალოთ.

### საპნის სახეხი



თეთრეული რომ კარგად გაირეცხოს, ამისათვის მისი საპნიან ხსნარში ან წყალში გამორეცხვაა საჭირო. თეთრეულის გასარეცხ ქვაბში საპნის მთლიანი ნაჭრის ჩაშვება არ შეიძლება; საპონი უნდა დაქუცმაცდეს და ისე ჩაიყაროს. ეს კი არც თუ ისე იოლი საქმეა. ამიტომ ხმარობენ საპნის სახეხს, რომლის დამზადებაც ყოველ თქვენგანს შეუძლია. ავიღოთ ბორჯომის წყლის ბოთლის რკინის თავსაცობები და ფიცრის პატარა ნაჭერზე დავაჭედოთ. ერთ ბოლოზე გავუკეთოთ რკინის კაუჭი, რითაც ეს მარტივი სახეხი დაიკიდება ქვაბის კიდეზე, შიგნიდან. თუ მასზე სარეცხის საპონს გავუსვამთ, ქვაბში წვრილად დაჭრილი საპონი ჩაცვივა.

**რ. ნინუა**



## პასუხები

### გამოცანა

არის ყველაზე მაღალი,
ყველას
მაღლიდან დასცქერის,
ხან ჭქუხს, ვით ომში ნაღარა,
ხან კი სცრის
როგორც საცერი.
ტირის, —
ყველაფერს ატირებს,
იცინის, ყველას აცინებს,
მის კენწეროზე დაჯდომა
არ შეუძლიათ არწივებს.

**მედეა კახიძე**

### „ქარი და მატარებელი“

მატარებელი ზუსტად ქარის სიჩქარით, წამში 8 მეტრის სისწრაფით მოძრაობდა, რადგან ნახატზე კვამლი პირდაპირ ადის ცაში.

### „სამი გამოცანა“

1. თუნუქის ნაჭერი ოთხად უნდა გაკეცოთ და კუთხე ჩამოჭრათ. 2. თუნუქის ნაჭერი რაიმე მრგვალ საგანს უნდა დაადოთ და ჩაზნიქოთ, შემდეგ ამოზნექილი ნაწილი მოქლიბოთ. 3. თუნუქის ნაჭერი შუაზე უნდა გაკეცოთ და ისე გაქლიბოთ.

### „პატარა გამოცანები“

1. ბიჭებმა სამი პარტია ჭადრაკი ითამაშეს.

2. საკმარისი იყო გოგონას ამოეღო სამი ცალი წინდა. ყველა შემთხვევაში სამი წინდიდან, ორი ერთი ფერისა იქნებოდა.

3. ბიჭები პირისპირ იდგნენ.

4. XIX—I=XX

5. ანბანი.

6. ხუთ ბავშვს მივცემთ თითო ფორთოხალს, მეექვსეს კი ყუთიანად.

7. მელანი.

### „სამი ღილი“

საკმარისია რომელიმე ერთ თეთრ ღილს ადგილი შევუცვალოთ და შავი ღილი კიდეზე აღმოჩნდება.

### პასუხი თავსატეხზე





# მოკლედ ყველაფერზე

## ბაყაყებო. სტარტზე!

შეუძლებელია,—მარკ ტვენს ეწინასწარმეტყველა, რომ თავისი მოთხრობის გმირს, «კალავერასელ განთქმულ მოჯირითე ბაყაყს» მრავალი წლის შემდეგ მიმდევრები გამოუჩნდებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სპორტული თვალსაზრისით ბაყაყები ბედნიერნი არიან. ამას წინათ კალიფორნიის ერთ-ერთ პატარა



ქალაქში მოეწყო ბაყაყების მასიური ასპარეზობა. მარკ ტვენის სახელობის პირველი პრემია წილად ხვდა ბაყაყს, ხმელ-ხმელ ჯიმს, რომელმაც სამი ნახტომით ოთხ მეტრზე მეტი მანძილი გადალახა. თხუთმეტმა ათასმა მაყურებელმა გამარჯვებული ბაყაყი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

## თევზი—წინასწარმეტყველი

ამას წინათ იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმ რაიონების მოსახლეობას, რომლებიც მიწისძვრისაგან ხშირად ზარალდებიან, მოუწოდა: მოაშენონ აკვარიუმის პატარა თეთრი თევზი.

შემჩნეულია, რომ, როცა ეს თევზი შფოთვას იწყებს და აკვარიუმში მოუსვენრად აქეთ-იქით აწყდება, რამდენიმე საათის შემდეგ მიწისძვრა უნდა მოხდეს. ამით გაფრთხილებული ადამიანები სათანადო თადარიგს იჭერენ მომავალი სტიქიური უბედურების დასახვედრად. იაპონიაში, სადაც დღეში 3—5-ჯერ ხდება მიწისძვრა, ამ წინასწარმეტყველი თევზების მოშენება მართლაც რომ საჭიროა.

## სპილოები—მძარცველები

ეთიოპიაში გავრცელებულია ხორბლეულის ერთ-ერთი ჯიში—დურო. ეს მცენარე სპილოების საყვარელი პირის ჩასატკბარუნებელი საჭმელია. სპილოები მას შოულობენ... ძარცვით.

აი, გლეხებმა დუროთი სავსე ტომრები გაჰკიდეს აქლემებს და გაუდგნენ გზას. ამ დროს სპილოები, რომლებმაც იციან ქარავნის გავლის დრო და ადგილი, იმალებიან გზის პირას და იცდიან. როგორც კი გამოჩნდებიან დატვირთული აქლემები, სპილოები ტოვებენ თავიანთ სამალავს და საშინელი ღრიალით ქარავნისკენ მიექანებიან. შიშისაგან დამფრთხალი აქლემები ტომრებს ყრიან და თავს გაქცევით შველიან. გარბიან ქარავნის გამყოლი გლეხებიც. მაშინ სპილოები აუჩქარებლად აკრეფავენ ხოლმე დუროთი სავსე ტომრებს და ნადავლს ერთმანეთში თანასწორად იყოფენ.

## ფოტყუებული მეთოვლიები

რამდენიმე ათასი მეთოვლია ლონდონის აეროდრომზე დასახლდა. მათ ლა-მანშისა და ტემზის ცივ ტალღებს აეროდრომის სამზარეულოსთან ცხოვრება არჩიეს.

ფრინველთა მრავალრიცხოვანი გუნდები საგრძნობლად აფერხებდნენ თვითმფრინავების აფრენასა და დაშვებას. მეთოვლიები ხშირად ავარიებს იწვევდნენ. ფრინველებს ბრძოლა გამოუცხადეს; ხოცავდნენ და ანგრევდნენ მათ ბუდეებს, მაგრამ შედეგი უმნიშვნელო იყო; ფრინველთა რაოდენობა არ მცირდებოდა.

მფრინავები რადიომ გადაარჩინა. მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერეს მოდარაჯე მეთოვლიას



შეძახილი. და ახლა, განგაშის ეს ნიშანი თვითმფრინავის ყოველი აფრენისა და დაშვების დროს გაისმის რეპროდუქტორიდან. მოტყუებული მეთოვლიები, გაიგონებენ თუ არა მის ხმას, ტოვებენ აეროდრომს და უხიფათო ადგილებში იმალებიან.

## სწრაფად. ხელსაყრელად. იაფად

უძველესი დროის მეზღვაურებს გემის დაღუპვის დროს არაერთხელ ჩაუგდიათ ზღვაში წერილებიანი დაბეჭდილი ბოთლები. თუკი ასეთი თხოვნა დახმარების შესახებ რაღაც შემთხვევით გადაურჩებოდა ტალღებს, ქარებსა და კლდეებს, იგი მაინც დიდი დაგვიანებით, ათეული, და ზოგჯერ ასეული წლების შემდეგ მოხვდებოდა მადლიანი ადამიანის ხელში.

მაგრამ ხანდახან საზღვაო ფოსტა კარგად მუშაობს. ასე მაგალითად; პატარა კუნძულების, ნადინას და პალანის (ინდონეზია) მცხოვრებლები საზღვაო ფოსტით სარგებლობენ.



ორივე კუნძულის ირგვლივ, შეკრულ წრისებურად მოძრაობს წყლის დინება. და, აი სწორედ ეს დინება ემსახურება მოსახლეობას ყოველგვარი შეფერხების გარეშე და გადააქვს წერილებიანი დაბეჭდილი ბოთლები.

კუნძულის მცხოვრებლები ხშირად მიმართავენ ასეთ ფოსტას თუნდაც იმიტომ, რომ წერილის გაგზავნის მომენტიდან, მის მეზობელ კუნძულზე მიღების მომენტამდე გადის სულ ერთი დღე-ღამე, გემს კი მხოლოდ კვირაში ერთხელ მიაქვს ფოსტა.

## თაგვები აეროდრომზე

ქალაქ კურუმანის (სამხრეთ აფრიკის კავშირი) აეროდრომი იძულებული იყო შეეწყვიტა თვითმფრინავების მიღება, ვინაიდან ასაფრენ-დასაშვები ბილიკი მილიონობით თაგვებს მთლიანად გადაეთხარათ. მღრღნელების ასეთი იშვიათი სიმრავლე გამოწვეული იყო შავარდნების «ნერვების სისუსტით». საქმე იმაშია, რომ წინათ ამ რაიონში მრავალი შავარდენი იყო, რომლებიც ანადგურებდნენ თაგვებს, მაგრამ შემდეგში, როცა მტაცებელმა ფრინველებმა ვერ აიტანეს მოტორების გუგუნი და აეროდრომის რაიონი მიატოვეს, თაგვები ტერიტორიის «სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები» გახდნენ.


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ" детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 10, 1959. Тбилиси пр. Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 07102, ტირ. 12.800. ფორმათა რაოდ. $4^{1}/_{2}$, ხელმოწერ. დასაბ. 25 IX-59 წ. სტამბის შეკვ. № 1116 გამომც. შეკვ. № 402. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი"

# იუმორი

ჟურნალებიდან „იუნი ტექნიკი“ და „ვესიოლიე კარტინკი“


















ეროვნული
ბიბლიოთეკა